ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 26 მარტი, 2013 №71 (6072) ფასი: 30 თეთრი

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი



შალვა ოგბაიძე: „სააკაშვილს საფლავში ჩავყვები და განსასჯელის სკამზე მაინც დავსვამ“

გვ.3

მეთიუ ბრაიზამ ქორწილი ჩვენი ფულით გადაიხადა

ვალერი გელბახიანი: „ბერეზოვსკის სურდა, საქართველო რუსეთთან ბრძოლის პოლიგონად ექცია“

გვ.2

19 აპრილს მრავალთასიან აქციას უნდა ველოდოთ!

გვ.4

საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენითაც დამტკიცდა

გვ.3

სტიქიას მინისტრებიც ებრძვიან

გვ.6

გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალებმა პოზიციები გამოისწორეს“

გვ.5

მარიამ საჯაია იუსტიციის საბჭოს დაშლის წინააღმდეგია

გვ.2

„ქართული ოცნება“ ვალდებულია, სააკაშვილის იმპიჩმენტი დააყენოს!

გვ.4

13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი



ISSN 1987-9385

2 შსს-ს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით „სუბოტექსი“ ამოიღეს

7 ხელისუფლებამ ბავშვთა საყოველთაო შეღავათი უნდა შემოიღოს

6 ფანჯიკიძის მოადგილედ ბერუჩაშვილი დაინიშნა

2 მიხეილ სააკაშვილი: „პრიმიტიულმა კრიტიკამ ბევრი რამე გააფუჭა“

ვალერი გელბახიანი: „ბერეზოვსკის სურდა, საქართველო რუსეთთან ბრძოლის პოლიგონად ექცია“

თამარ ნინიძე

ვალერი გელბახიანმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენციაზე ბორის ბერეზოვსკის მოღვაწეობას და მის იდუმალ გარდაცვალებას დიდი დრო დაუთმო. ამასთანავე, მან ისაუბრა ბადრი პატარკაციშვილისა და ბორის ბერეზოვსკის ბიზნეს-პარტნიორულ და მეგობრულ ურთიერთობებზე.

„ერთადერთი მოქალაქე ვარ საქართველოსი, რომელსაც განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მქონდა ბორის ბერეზოვსკისთან, ერთი პერიოდი მის ვილაშიც ვცხოვრობდი ლონდონში, მასთან ხშირად მისაუბრია“, – ასე დაიწყო გელბახიანმა ბერეზოვსკიზე საუბარი.

მისი თქმით, ბორის ბერეზოვსკი ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი იყო, ის იყო პოპულარული პერსონა რუსულ პოლიტიკურ წრეებში, მისი სერიოზული წვლილი იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ვითარების განეიტრალებაში, მას ამ კონფლიქტის დარეგულირების მეტად საინტერესო გეგმა ჰქონდა, რომლის რეალიზება რატომღაც ვერ მოახერხა, იმ დროს ის შევარდნაძესაც შეხვდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის რანგში.

ბადრი როცა გამოჩნდა ასპარეზზე, ბერეზოვსკი და ბადრი მჭიდრო ბიზნესპარტნიორები და მეგობრები იყვნენ, ბადრი იმდენად აქტიური არ იყო პოლიტიკაში როგორც ბერეზოვსკი, მაგრამ საერთო კაპიტალი ჰქონდათ, ბადრი ბიზნესს აკონტროლებდა თავისი გუნდით, ბორის ბერეზოვსკი კი ამ ფინანსების გარკვეულ ნაწილს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა.

ყველას ახსოვს, რომ როცა ბერეზოვსკის დაეძაბა ურთიერთობა კრემლთან, ის და ბადრი იძულებული გახდნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ.

„როცა ბადრი კრემლმა არჩევანის წინაშე დააყენა, აერჩია რუსეთში დარჩენა ან ბერეზოვსკი, მან მეგობრობა არჩია. ის ამაყობდა ამ გადაწყვეტილებით. სხვა საკითხია, როგორ უყურებდა ამას ბერეზოვსკი, მე თავად შევამჩნიე, რომ მუდმივი მეგობრები მისთვის არ არსებობდნენ, მე მას ტროცკის ვადარებდი. ბორის ბერეზოვსკის საბოლოო მიზანი იყო რუსეთში ხელისუფლების შეცვლა. მას თავად ჰქონდა რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის ამბიციები. ბადრი იყო ერთ-ერთი მისი მთავარი დასაყრდენი, მაგრამ როცა ბადრის კრიტიკული ვითარება შეექმნა საქართველოს ხელისუფლებასთან, მე ვერ დავინახე გულწრფელი დამოკიდებულება ბადრის მიმართ ბერეზოვსკისა“, – აცხადებს გელბახიანი.

მისი თქმით, როცა ბადრი პატარკაციშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, ბერეზოვსკი ბადრის ურჩევდა, საერთო ენა მოენახა სააკაშვილთან. ბერეზოვსკის უნდოდა, მას და ბადრის სააკაშვილი გამოეყენებინათ პუტინთან კონფლიქტში, რომ საქართველო ყოფილიყო რუსეთთან ბრძოლის პოლიგონი. ბადრი ამას არ დაეთანხმა. ბერეზოვსკის პოლიტიკური ინტერესი არ ყოფილა ბადრის პოლიტიკაში შესვლა. გელბახიანის ინფორმაციით, პატარკაციშვილს არ უნდოდა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერობა, მას ერჩივნა ჩრდილოვანი ტიპის ლიდერი ყოფილიყო, მაგრამ განეხორციელებინა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების კოორდინაცია. ბადრი ეკონტაქტებოდა ქართული ოპოზიციის ყველა ლიდერს, მის გეგმაში არ იყო აჯანყება და რევოლუცია, ბადრისა და ბერეზოვსკის შორის გაჩნდა უთანხმოება, ბადრისთვის ადამიანური ურთიერთობები ყველაზე მაღლა იდგა, ის ყველაფერს ქართული მენტალიტეტით უდგებოდა, ამიტომ მეგობრობა მისთვის წმინდა რამ იყო, ხოლო ბერეზოვსკის მსგავსი რამ არ ახასიათებდა.

ვალერი გელბახიანის აზრით, ორივე ერთი და იგივე დიაგნოზით – გულის შეტევით გარდაიცვალა, ყოველ შემთხვევაში, ეს არის პირველადი ოფიციალური ვერსია, მაგრამ გელბახიანს არ სჯერა ბერეზოვსკის თვითმკვლელობის ვერსიის. მისი თქმით, ბერეზოვსკი რუსულ ოპოზიციას აფინანსებდა და მისი შემაკავშირებელი იყო, წარმატებულ ბრძოლას რუსეთში მას უკავშირებდნენ, ის წარმატების ზენიტში იმყოფებოდა და ვერც სასამართლო პროცესში აბრამოვიჩთან მარცხი და ვერც სხვა დეპრესიული მიზეზები მას სუიციდისკენ არ უბიძგებდა. ამასთანავე, გელბახიანი ეჭვობს, რომ ბადრიც და ბერეზოვსკიც მოკლულები არიან, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გელბახიანი თითს არც სააკაშვილის ხელისუფლებისკენ იშვერს და არც პუტინის კრემლისკენ, ის არ გამორიცხავს მესამე ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესს ბადრის და ბერეზოვსკის ლიკვიდაციაში.

„ორი წლის წინ მე ტელეფონით დავუკავშირდი ბორის ბერეზოვსკის, მასთან მქონდა გარკვეული პრეტენზიები, მან მითხრა, რომ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და სანამ ამ პრობლემებს არ მოაგვარებს, მისი ჩემთან საუბარი არ შედგებოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ მისი თანაშემწის მეშვეობით შემომითვალა, ჩემთან საუბარი აღარ იქნებოდა“, – იხსენებს ბოლო სატელეფონო საუბარს გელბახიანი.

მარიამ საჯაია იუსტიციის საბჭოს დაშლის წინააღმდეგია

თამარ ნინიძე

პარლამენტში შემოსული კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ სერიოზულ სადავო თემად იქცა საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. როგორც სხვა დროს, ახლაც ნაცმოძრაობა შეპყრობილია იმ აზრით, რომ რაც შეიძლება კეთილშობილური გამოჩნდეს „ქართული ოცნების“ ფონზე და იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების ახალ წესს სახელმწიფოს მომავალს უკავშირებს.

საპარლამენტო უმცირესობამ ყველაზე ახალგაზრდა ნაცმოძრაობელი მარიამ საჯაია ჩართო ამ განხილვებში, რომელმაც „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში საგანგებოდ ამ თემას პრესკონფერენცია მიუძღვნა.

მარიამ საჯაიას განცხადებით, ვენეციის კომისიის უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები კოალიცია „ქართული ოცნების“ შემოტანილ ვარიანტში არ არის გათვალისწინებული. მისი თქმით, ევროპის სახალხო პარტიამ სპეციალურად გამოგზავნა საქართველოს ხელისუფლების მიმართ წერილი, სახალხო პარტიის ლიდერები არიან ბაროზო და მერკელი, ისინი მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს, გაითვალისწინონ ვენეციის რეკომენდაციები, თორემ ვილნიუსის სამიტზე საქართველო ნატოს ასოცირების ხელშეკრულებას ვერ მიიღებს. ისე რომ ვთქვათ, სწორედ მერკელი და ბაროზო იყვნენ აქტიურები, რომ საქართველოს მაპი არ მიეღო, კარგად გაიხსენოს ნაცმოძრაობამ, როგორი იყო მერკელის განწყობები რუსეთის პრეზიდენტ პუტინისა და სააკაშვილის მიმართ.

უმცირესობის ნორჩი წევრი მარიამ საჯაია ღელავს იმის გამო, რომ თუ ქართული ოცნება იუსტიციის საბჭოს მოქმედ შემადგენლობას დაშლის, შეიქმნება იმის საშიშროება, რომ ყოველი ახალი ხელისუფლება ეცდება იუსტიციის საბჭოს დაშლას და სასამართლო ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენას. ახალი ვარიანტით იუსტიციის საბჭოს ექვსი წევრი საპარლამენტო უმრავლესობიდან უნდა იქნას არჩეული.

„არის საშიშროება, რომ არა მარტო სასამართლოს ხელისუფლების დამოუკიდებლობას შეექმნება საფრთხე, არამედ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაზეც მოინდომებენ გავლენის მოხდენას და მის შეცვლას. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ვეტოს უფლებას გამოიყენებს. ნაცმოძრაობა მიესალმება ამ ვეტოს“, – აცხადებს მარიამ საჯაია.

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი დღეს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიორნ იაგლანდს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ვოიჩეკ სავიცკის, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების გენერალურ დირექტორს ფილიპ ბოიას, ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის ჯგუფის აღმასრულებელ მდივანს პატრიკ ფენიქსს და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებს შეხვდება.

პრესსამსახურის ინფორმაციითვე, ირაკლი ღარიბაშვილი ევროსაბჭოს ოფიციალურ პირებს, სამინისტროში გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებს გააცნობს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ევროსაბჭოს, განსახილველად, პოლიციის ახალი ეთიკის კოდექსიც წარუდგინა, რომლის განხილვის შემდეგაც, ის ოფიციალურად დამტკიცდება.

გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში, შს მინისტრი ხელს მოაწერს რიგ დოკუმენტებს და შეთანხმებებს, მათ შორის, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების, კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას, ასევე, კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს და სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმს. აღნიშნული ოქმების ხელმოწერის ვალდებულება ქართულ მხარეს, ევროკავშირთან სავიზო დიალოგის სამოქმედო გეგმის თანახმად დაეკისრა. მათთან მიერთება, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ნიუსპრესი

შსს-ს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით „სუბოტექსი“ ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თბილისის მთავარი სამმართველოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 1966 წელს დაბადებული მამუკა ყ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“-ს შეძენა-შენახვისა და შემოტანის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ნარკოტიკული საშუალება საფრანგეთში შეიძინა და იქვე ნაყიდი ავტომობილის სალონში შეინახა. ავტომანქანა საქართველოში მან გემით გამოაგზავნა.

სამართალდამცველებმა სამშობლოში დაბრუნებული მამუკა ყ. ბათუმში, თბილისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მისი ავტომანქანის ჩხრეკისას კი, სავარაუდოდ, სარეალიზაციოდ გამზადებული 97 აბი „სუბოტექსი“ ამოიღეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია აგრეთვე გაუფორმებელი სანადირო თოფი. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა) მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის (საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა) მე-4 ნაწილით და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა) მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ყალბი ვალუტის გასაღების ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსხურის თანამშრომლებმა, ყალბი უცხოური ვალუტის გასაღების ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მაჰმუტ კესმეზი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, გასაღების მიზნით, 99 ცალი ყალბი ას დოლარიანი კუპიურა შემოიტანა, რომლის რეალიზება მან 5 000 აშშ დოლარად მოახდინა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212 – ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 7 დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

მიხეილ სააკაშვილი: „პრიმიტიულმა კრიტიკამ ბევრი რამე გააფუჭა“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაგრატის ტაძრის რესტავრაციაზე მომუშავე არქიტექტორები ანდრეა ბრუნო და ივანე გრემელაშვილი დღეს, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვა.

პრეზიდენტის განცხადებით, არჩევნების შედეგების გამო, მის ხელისუფლებას რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება არ დასცალდა. „ბაგრატის ტაძრის აღდგენა თავისთავად მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს პოლიტიკის სრულიად უაზროდ გარევა იმაში, რაც საერთო ეროვნული და კულტურული საკითხია. ვიღაცამ ყური მოკრა, რომ ბაგრატის ტაძარში იქნება ლიფტი და დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ იქ არანაირი ლიფტი არ არის, იძახიან, რომ ლიფტია ახალ ტაძარში. ამ პრიმიტიულმა კრიტიკამ ბევრი რამე გააფუჭა.

ჩვენ მრავალი წლის წინ დავიწყეთ ქუთაისის მეორე დედაქალაქად ქცევის პროგრამის განხორციელება. ამ პროგრამის განხორციელებას რამდენიმე ეტაპი ჰქონდა. ეს იყო ქუთაისის კულტურული ცენტრის განვითარება და აღორძინება, ქუთაისის ცენტრის ხელახლა აშენება. ამის პარალელურად, დაიწყო ქუთაისის გარშემო ინფრასტრუქტურის განვითარება, პრომეთეს მღვიმე, სათაფლია, საირმის კომპლექსი, წყალტუბოს კომპლექსი, რომლის აშენებაც სამწუხაროდ, არჩევნების გამო არ დაგვცალდა“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

თავდაცვის სამინისტრო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის დავალებით შექმნილ, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაო ჯგუფში ჩაერთო. ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ თავდაცვის უწყებაში მინისტრის პირველმა მოადგილემ ლევან დოლიძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა. დოლიძის ინფორმაციით, ჯგუფის მიზანი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო და აღმოფხვრითი სამუშაოებია. ამ დროისთვის, ადლიასა და ურეხში დისლოცირებული ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეები, ბათუმში მიმდინარე სამუშაოებში უკვე აქტიურად მონაწილეობენ. სამინისტროს ინფორმაციითვე, სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად თავდაცვის სამინისტროში სრული მზადყოფნაა გამოცხადებული, როგორც პირადი შემადგენლობის, ასევე საინჟინრო ტექნიკის კუთხითაც. ზარალის აღმოფხვრის სამუშაოებში ჩასართავად მზადაა ეროვნული გვარდიის დეპარტამენტიც, რათა საჭიროების შემთხვევაში რეზერვის დროული მობილიზება მოახდინოს. სამუშაო ჯგუფს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე ხელმძღვანელობს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შალვა ოგბაიძე: „სააკაშვილს საფლავში ჩავყვები და განსასჯელის სკამზე მაინც დავსვამ“

შორენა მარსაგიშვილი

სისხლიანი 26 მაისი დღეს ისევ აქტუალურია. ახალი ხელისუფლება ამ საშინელების გამოძიების პირობას დებს. წინა კვირას შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნაციონალებს განუცხადა, რომ 26 მაისს დანაშაულის ჩამდენი პირები დაისჯებიან. ამ განცხადებამ ნაცმოძი ააღელვა. გია ბარამიძემ და გოკა გაბაშვილმა სასწრაფოდ განაცხადეს, იმ მოვლენების უკან კრემლი იდგაო. რამდენიმე დღის შემდეგ მათმა ბელადმა სააკაშვილმაც გაიმეორა ეს ბრალდება და დაამატა, იმ დღეს საქართველოში რუსის ჯარი უნდა შემოსულიყოო.

ამ ბრალდებებისთვის დემოკრატიულმა მოძრაობამ და სახალხო კრებამ გაბაშვილს და ბარამიძეს სასამართლოში უჩივლეს. 26 მაისის მოვლენებზე შესაძლოა სააკაშვილსაც მოუწიოს პასუხის გაცემა. „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ შალვა ოგბაიძეს 26 მაისის დარბევის დროს სასტიკად სცემეს. ის იმდენად მძიმედ იყო, რომ ექიმებს მკვდარი ეგონათ და კინაღამ მორგში გაამწესეს. როცა გონზე მოვიდა, თავს კუდის მაღალჩინოსანი დაადგა და უთხრა: „შენი შვილები დაჭერილი გვყავს და მათ სისხლს დავლევთ“-ო.

შალვა ოგბაიძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდნენ. რა პასუხი აქვს ნაციონალების ბრალდებებზე, რა ელოდება სააკაშვილს ამ თემებზე შალვა ოგბაიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

შალვა ოგბაიძე:

– აინშტაინი ამბობდა, ამ სამყაროში სასრული არა აქვს სამყაროს და ადამიანის სისულელეს. თუმცა, პირველში ეჭვი მეპარებაო. ნაციონალების ტყუილსა და უტიფრობას საზღვარი არა აქვს. უტიფრობასა და სიცრუეზე კომენტარის გაკეთება ძალიან ძნელია. ტყუილი მათი შეიარაღება გახლავთ. ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან 26 მაისთან დაკავშირებით სხვა კომენტარი არც იყო მოსალოდნელი. მაშინაც გაიძახოდნენ, მტერი 40 კილომეტრშია და ამ დროს თბილისში აქციის ჩატარება არ შეიძლება, რადგანაც შესაძლოა რუსული ჯარი შემოვიდესო. უკაცრავად, მაგრამ, 19 აპრილს რუსთაველზე აქციის გამართვას რომ გეგმავენ, მტერი გავიდა?! ისევ 40 კილომეტრში არ დგანან? რა გამოდის, ჩვენ თუ ჩავატარეთ, საშიში იყო, ესენი თუ ჩაატარებენ, საშიში აღარ არის. თავიანთ ნათქვამებში თავადვე იბლანდებიან. კიდევ გავიმეორებ, ნაციონალების მოლაპარაკე თავებზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება და მგონი, ეს არც არის საჭირო.

– კომენტარად არ ღირსო ამბობთ, ამ დროს მათ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეგაქვთ.

– ჩივილით უნდა ვუჩივლოთ. ყველაფერს თავისი წესი აქვს. როგორც იტყვიან, ჯერ წესია წესი და მერე საქმეა საქმე. დემოკრატიულმა მოძრაობამ და სახალხო კრებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როცა გოკა გაბაშვილის და გია ბარამიძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა გადაწყვიტეს. ახლა სასამართლოში დაამტკიცონ, რომ 2011 წლის მაისში ჩვენ კრემლის მითითებით ვმოქმედებდით.

მეთიუ ბრაიზამ ქორწილი ჩვენი ფულით გადაიხადა

– სააკაშვილის განცხადებაზე რას გვეტყვით. ის ამბობს, რომ საქართველოში 26 მაისს რუსის ჯარი უნდა შემოსულიყოო. მის წინააღმდეგაც შეიტანთ სარჩელს სასამართლოში?

– ტყუილებს და ბოდვებს ძალიან კარგი შესატყვისები აქვს ქართულ ენაში. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ როშვა. ვადაგასული პრეზიდენტი იმ დღეს „იმედის“ ეთერში როშავდა. პიარის თვალსაზრისით სააკაშვილი დამაჯერებელ ტყუილებს ხშირად იგონებდა ხოლმე. ამ ეტაპზე პრეზიდენტი აშკარად დაბნეული იყო. ამიტომაც როშავდა და როშავდა ახალ-ახალ სისულელეებს. მას ეკითხებიან, 26 მაისის დარბევის შედეგად რუსთაველზე ხალხი დაიღუპა. ის პასუხობს: დიახ, დიახ პოლიცია. ის პოლიციელი ისევ ისეთი მსხვერპლია იმ რეჟიმის, როგორც 26 მაისს დაღუპული სხვა ადამიანები. იმ დღეს დაიღუპა 4 ადამიანი, თორემ მოგვიანებით კიდევ რამდენიმე გარდაიცვალა. ერთმა თავი მოიკლა, ხოლო ერთი გადაყვა თავის შვილს. ის შვილის დაკრძალვის დღეს დაიღუპა. სააკაშვილი „იმედის“ ეთერში გაიძახოდა, ის ხალხი ბურჯანაძის ესკორტმა გაიტანაო. წარმოიდგინეთ, ბურჯანაძის ესკორტმა გაიტანა, მერე ხელები შევუკარით, მერე შემოვაწყვეთ სუპერმარკეტის თავზე და მერე დენმა დაარტყა. როშვაა, აბა რა არის?! სააკაშვილს მთელმა ქვეყანამ უნდა მოსთხოვოს პასუხი იმ დანაშაულებისათვის, რაც მან ჩაიდინა ერის წინაშე.

– როგორ გგონიათ, მოსთხოვს ერი სააკაშვილს პასუხს?

– უნდა მოსთხოვოს! მე პირადად, როგორც ერთ მოქალაქეს, ამ ავადმყოფ ადამიანთან ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს.

– რა პრეტენზიები, ბატონო შალვა?

– მათი ჩამოთვლა შორს წამიყვანს. ამ მხრივ ნამდვილად არ ვიქნები გამონაკლისი, რადგანაც ჩემს მდგომარეობაში ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა. მათაც წაართვეს ქონება და გაუსწორდნენ ფიზიკურად. ასე მხოლოდ იმიტომ მოგვექცნენ, რომ სიმართლის თქმა და რეჟიმთან დაპირისპირება გავბედეთ. ამ მატყუარა ადამიანმა, თავის თავს პრეზიდენტს რომ უწოდებს, 9 წელი მომპარა. იმაზე უკეთეს ავტოსერვისს გავაკეთებ, ვიდრე მაგ კაცმა წამართვა. ჩემს მეგობრებთან ერთად იმაზე უკეთეს საავტომობილო ფედერაციას შევქმნი, ვიდრე მან შექმნა ნაციონალების მხარდამჭერებისგან. იმაზე უკეთეს ბინას ავაშენებ, რომელიც მან წამართვა. ყველაფერს გავაკეთებ, ფიზიკური წამებისგან მიყენებული ტკივილებიც მოშუშდება, რომელიც მან მე და ჩემს შვილებს მოგვაყენა, ოღონდ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაბრუნდება ის 9 წელი, რომელიც მან მომპარა. თქვენი გაზეთის მეშვეობით სააკაშვილს პირობას ვაძლევ, რომ ამ 9 წელს არ შევარჩენ! საფლავში ჩავყვები და აუცილებლად მივიყვან განსასჯელის სკამამდე. მე მასთან ბევრი პრეტენზია მაქვს. ის მალე იგრძნობს, რა არის სამართლიანობის აღდგენა. სააკაშვილს ჰყავს გარემოცვა რომელიც მას შავ სიას უდგენდა. ისინი კარგად კითხულობენ გაზეთებს და ჩემს ნათქვამს სააკაშვილს აუცილებლად გადასცემენ. ამიტომაც ვიმეორებ, სააკაშვილმა მე 9 წელიწადი მომპარა. ამისთვის მას აუცილებლად მოვთხოვ პასუხს.

– მოდით, 26 მაისს დავუბრუნდეთ. სააკაშვილი ამტკიცებს, რომ იმ დღეს თქვენ საქართველოში რუსული ჯარი უნდა შემოგეყვანათ.

– ეგ არის მატყუარა ადამიანი. მე ზემოთაც გითხარით, რომ ეგ როშვაზე გადავიდა. თავიდან ბოლომდე როშვაა მისი განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ 26 მაისს საქართველოში რუსის ჯარი უნდა შემოგვეყვანა. ამის საპასუხოდ სააკაშვილს ერთ რამეს ვეტყვი, 2008 წლის 8 აგვისტოს ჩემი უმცროსი შვილი ლევანი საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისარიატში ჩაეწერა მოხალისედ. მე და უფროსი ბიჭი გიორგიც ჩავწერეთ მოხალისეებად. ისე მალე დამთავრდა ომი, წასვლა არ მოგვიწია. ლევანი წაიყვანეს. იმ დროს, როცა ჩემი ლევანი და ქართველი სამხედროები რუსის ჯარს ებრძოდნენ, სააკაშვილი გორში მიწაზე დაფორთხავდა. ამოცანა გვეკითხება, ვინ უფრო მაგარი ბიჭია, სააკაშვილი თუ ის ბიჭები, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ? ასე რომ, როცა რუსის ჯარის შემოძღოლაზე საუბრობს, კბილები გამორეცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე გამოვურეცხავ ამ კბილებს, როგორც საჭიროა. სააკაშვილისნაირებს ეგრე ეკუთვნით.

– ამ განცხადებების გამო მავანი სიძულვილის ენით საუბარში დაგდებთ ახლა ბრალს.

– ეს არ არის სიძულვილის ენა. მე, უბრალოდ, შევახსენე იმ ადამიანს, რომ თავის ნამოქმედარზე მოუწევს პასუხის გაცემა. მე იმედი მაქვს, რომ ვიცხოვრებ სამართლიან სახელმწიფოში, რადგანაც, თუ არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა. ამაზე საუბარი არ გახლავთ სიძულვილის ენა. სიძულვილის ენას სწორედ სააკაშვილი მიმართავს. სიძულვილის ენით სააკაშვილი იმ ხალხს მიმართავდა, რომლებსაც არსებული რეჟიმისადმი ჰქონდათ პროტესტი. ეს ის ხალხი იყო, რომლებმაც ვერ იგუეს უსამართლო სასამართლო, პოლიტიზირებული პოლიცია, ადამიანის უფლებების დარღვევა, ციხეებში წამება. ვადაგასულ პრეზიდენტს ასეთი ხალხი სძულდა. სააკაშვილი მოქმედებდა ცნობილი პარაგვაელი დიქტატორის სტრესნერის პრინციპით: „ჩემს მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებისთვის კანონი“. ეს კანონიც იყო უსამართლო. თუ სააკაშვილის პარტიაში არ იყავი, ხდებოდი მოძულებული ადამიანი. 2012 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოში უპატრონო ძაღლს უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე იმ ხალხს, ვინც სააკაშვილის ბანაკში არ იყო. უპატრონო ძაღლის მოკვლის შემთხვევაში, ბრიჯიდ ბარდო მაინც აღშფოთდებოდა. ეგ ქალი ცხოველების უფლებების ცნობილი დამცველია. საქართველოს ციხეებში 58 საათში ერთხელ ერთი ადამიანი კვდებოდა. ამის შესახებ არც სააკაშვილს უთქვამს რამე და არც მის დაქირავებულ ლობისტებს. მაგალითისათვის, მეთიუ ბრაიზასნაირ ტიპებს ხმა არ ამოუღიათ, რომელმაც ჩვენი გადახდილი ფულით მუქთად მოიყვანა ცოლი და სტამბულში ჩვენი ფულით გადაიხადა ქორწილი.

– სამაგიეროდ, ახლა არიან შეშფოთებული. საკმარისია რომელიმე ნაციონალი დაკითხვაზე დაიბარონ, განგაშს ტეხავენ.

– სააკაშვილთან ვალში არიან და ასე იმიტომ იქცევიან. მე არ მაინტერესებს შეშფოთდებიან თუ არა ისინი, მე ვიცი, რომ სააკაშვილი განსასჯელის სკამზე უნდა დაჯდეს.

– ისე დარწმუნებით ამბობთ, სააკაშვილი განსასჯელის სკამზე დაჯდებაო, ეტყობა გჯერათ, რომ საქართველოში სამართლიანობა აღდგება.

– რა თქმა უნდა, მჯერა. თუ არ გჯერა, რომ სამართლიანობა აღდგება, მაშინ ცხოვრებას აზრი ეკარგება. მე ვაგრძელებ ბრძოლას სამართლის დასადგენად. აბსოლუტური სამართლიანობა არის უფალი, მაგრამ სამართლიანობა და დემოკრატია მოითხოვს დაუღალავ და ყოველდღიურ შრომას. ქვეყანაში ისეთი სამართალი მაინც უნდა იყოს, რომ ხალხს ცხოვრება არ დაუნგრიო. პოლიტიკური ოპონენტები არ უნდა დევნო. ასეთი მიზნის მიღწევა შესაძლებელია. როცა დამნაშავე რეჟიმი დაისჯება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

– გამოდის, რომ თქვენ ნაციონალური მოძრაობის გასამართლებასაც ითხოვთ.

– დამნაშავე უნდა დაისაჯოს! ნაციონალური მოძრაობა არ არის ოპოზიციური ძალა. ეს არის დამნაშავე რეჟიმი. კოლექტიური სააკაშვილის ნარჩენები უნდა გასამართლდნენ და ჩამოშორდნენ პოლიტიკას. სამაგიეროდ უნდა მოვიდეს ისეთი ოპოზიცია, რომლის პრინციპიც მოყვარეს პირში უძრახე იქნება. ბევრი ვისაუბრე იმაზე, რომ სააკაშვილს განსასჯელის სკამამდე მივიყვან-თქო. ამ ადამიანში სინანულის გრძნობა რომ დამენახა, აღარ მოვითხოვდი მის გასამართლებას.

– ყველაფერს მიუტევებდით? მან ბევრი რამე დაგიშავათ.

– ყველაფერს დავივიწყებდი თუ დავინახავდი, რომ ეს ადამიანი ჩადენილს ნანობს. სამწუხაროდ, მას სინანულის არაფერი ეტყობა. არადა, რამდენ ადამიანს დაუნგრია ცხოვრება. იმის მაგივრად, რომ ჩადენილ ცოდვებს ინანიებდეს, გამოდის და ისევ სიძულვილის ენით გვესაუბრება. მისი ადგილი არის განსასჯელის სკამზე. მე ჩემი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასე მოხდეს.

საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენითაც დამტკიცდა

შორენა მარსაგიშვილი

ოცნება და ნაცმოძი ახლა სასამართლოებზე თანხმდებიან

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ საკონსტიტუციო ცვლილებები გუშინ მესამე მოხმენითაც მიიღო. გუშინდელი გადაწყვეტილებით სამთვიან ალიაქოთსაც მოეღო ბოლო. რომელიც ამ ცვლილებებთან დაკავშირებით იყო ატეხილი.

ეს ალიაქოთი შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელებულიყო. შაბათს სააკაშვილის ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ პრეზიდენტი 25 მარტისთვის დაგეგმილ რიგგარეშე სხდომის დანიშნას არ თანხმდებოდა. მეოცნებეებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და თქვეს მაგის ნებართვის გარეშეც შეგვიძლია სხდომის გამართვაო. ეს ამბავი პრეზიდენტმაც იცოდა. ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და რიგგარეშე სხდომა დანიშნა.

სხდომამ როგორც მოსალოდნელი იყო მშვიდ გარემოში ჩაიარა. მესამე მოსმენით ცვლილებები კონსტიტუციაში პარლამენტმა 114 ხმით მიიღო. კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა არცერთ დეპუტატს არ მიუცია. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების მიღება მოსახლეობას და დეპუტატებს მიულოცა.

გუშინ მიღებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს პარლამენტის დათხოვნის შეუძლებლობის ერთ-ერთ საფუძვლად, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვისა, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის მაისის თვიდან ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე პერიოდი განისაზღვრება. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამდე მოვალეობის შესრულება გადამდგარ ან გადაყენებულ მთავრობას

დააკისროს; ხოლო საქართველოს მთავრობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ზედიზედ სამჯერ ნდობის მიუღებლობისას, თუკი არსებობს პარლამენტის დათხოვნის შეუძლებლობის კონსტიტუციით გათვალისწინებული გარემოებები, პრეზიდენტი პარლამენტს შესაბამისი გარემოების ამოწურვიდან 3 დღის ვადაში დაითხოვს.

ამ ცვლილებების მიღების შემდეგ პარლამენტი მზადაა საქართველოს პრეზიდენტს მოუსმინოს. სააკაშვილი პარლამენტში 8 თებერვალს უნდა გამოსულიყო. მაგრამ მაშინ პარლამენტმა სააკაშვილის მოსმენა არ მოისურვა.

– დადგენილი პროცედურებით გაფორმდება ჩვენი გადაწყვეტილება, გაეგზავნება ხელმოსაწერად პრეზიდენტს. ამ კანონზე ხელმოწერის და მისი გამოქვეყნებისთანავე საქართველოს პარლამენტი მზად იქნება, საქართველოს პრეზიდენტს შესთავაზოს ამ დარბაზში გამოსვლა იმ მოხსენებით, რომელზეც იყო საუბარი. ჩვენ ჩვენი სიტყვის ერთგული ვართ საკონსტიტუციო ცვლილებების გამოქვეყნებისთანავე შესაძლებელია კონსულტაციების გამართვა იმის თაობაზე, თუ როდის მოვა პრეზიდენტი პარლამენტში, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის მხრივ კმაყოფილი დავით უსუფაშვილის და დავით ბაქრაძის თანამშრომლობით.

– პარლამეტის უმცირესობის ლიდერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის გუშინ კონსულტაცია გაიმართა. მას შემდეგ რაც ჩვენ შევთანხმდით კონსტიტუციის არა მხოლოდ შინაარსზე, არამედ პროცედურის ფორმაზე, რაც მისასალმებელი მოვლენა იყო პარლამენტში, კარგი იქნებოდა, რომ სხვა ძალიან მნიშვნელოვან კანონებზე იგივე გაგრძელდეს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი არის სასიცოცხლო დემოკრატიისთვის, რადგან ჯერ ერთი თუ იმ ფორმით, როგორც არის, ძალით გაიტანეს, მაშინ თავისუფალი სასამართლოს იდეასაც კი, რასაც მთელი ამ წლების მუშაობისა და არჩევნების შედეგად გაჩნდა შანსი, რომ მოქალაქეები თავისუფალი სასამართლოთი იყვნენ დაცულები, ახლა ამის მოკვლის დრო არ არის. თუ ამ ფორმით იქნება ეს კანონი მიღებული, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო სამუდამოდ თუ არა ყოველშემთხვევაში ვილნიუსის სამიტზე ევროპულ პერსპექტივას დაეშვიდობება, რაც სხვადასხვა პროცესებს ძალიან შეაფარხებს, ამიტომ ახლა როგორ არასდროს, ჩვენ ერთობლივი მუშაობა და ერთმანეთის ჯიბრში არჩადგომა გვჭირდება. ყველა პარტიის ინტერესებში უნდა იყოს, რომ ჩვენ ევროპისკენ წავიდეთ და სასამართლო თავისუფალი იყოს. ძალიან კარგად მუშაობენ ერთად ბაქრაძე და უსუფაშვილი, ასევე უნდა გაგრძელდეს. მეც მზად ვარ ჩავერთო, იმედია პრემიერ-მინისტრიც ჩაერთვება. ყოველგვარი ზედმეტი ემოციებისა და ხელისგადაგრეხვის გარეშე იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რაც ვენეციის კომისიის გადაწყვეტილებაში კარგადაა გაწერილი, რადგან ეს საქართველოს საკეთილდღეოდ და თითოეული მოქალაქისთვის უკეთესი იქნება, – განაცხადა სააკაშვილმა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტს პარლამენტი 3 აპრილს განიხილავს. მანამდე კი მხარეები 27 მარტს გამართავენ კონსულტაციებს. ამ კონსულტაციებზე განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

– გასული 2 დღის განმავლობაში გაიმართა დამატებითი კონსულტაციები, რომელშიც პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე მონაწილეობდნენ და მეც გახლდით ჩართული. შევთანხმდით, რომ საქმისთვის უკეთესი იქნება, თუ ჩვენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტს მესამე მოსმენით მივიღებთ მომავალ კვირაში მაშინ, როდესაც მზად იქნება სათანადო ცვლილებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტშიც, ვინაიდან მოგეხსენებათ, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრის არჩევის ნაწილში საპარლამენტო პროცედურები არის განსასაზღვრი და იმისთვის, რომ სურათი იყოს ნათელი, სჯობს, ეს დოკუმენტიც მომზადდეს. აგრეთვე, მეორე მოსმენით მიღებულ კანონპროექტში თუ რაიმე დასაზუსტებელია და რის საშუალებასაც იძლევა კანონპროექტი, ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ თემაზეც გვექნება დამატებითი კონსულტაციები იმისთვის, რომ ეს კანონპროექტი, ერთის მხრივ, მივიღოთ რაც შეიძლება, სწრაფად და ამავე დროს მივიღოთ ძალიან ხარისხიანი და ფართო კონსესუსის მქონე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ თავად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები კანონპროექტს მხარს უჭერენ, მაგრამ ჩვენ ვართ მზად, ოპონენტების მოსაზრებები კიდევ ერთხელ მოვისმინოთ და შევთანხმდით, რომ ამ დღეების განმავლობაში ინტენსიური მუშაობა გვექნება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე მზადყოფნას გამოთქვამს კონსულტაციებისთვის, რათა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტი პოლიტიკური კონსესუსის შედეგად იყოს მიღებული.

19 აპრილს მრავალათასიან აქციას უნდა ველოდოთ!

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ციხკარიშვილთან

— ბატონო სოსო, გასული კვირა პოლიტიკურად დატვირთული იყო. ჯერჯერობით კვლავ აქტუალურია საკონსტიტუციო ცვლილებები. საზოგადოების აზრი რატომღაც ორად გაიყო. ნაწილს არ მოეწონა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. როგორი იქნება თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები?

— ჩემი აზრით, დროა, რომ დავეხსნათ რაიმე ტიპის პროცესით ტკბობას და ორიენტირებული ვიყოთ შედეგზე. სამწუხაროდ, მხოლოდ პროცესით თვითკმაყოფილება ახასიათებს ჩვენს პოლიტიკოსებსაც და საზოგადოების დიდ ნაწილსაც. შედეგი, როგორც წესი, დგება მხოლოდ სერიოზული ძალისხმევის საფუძველზე და მთავარსა და მეორე ხარისხოვანს შორის განსხვავების მუდმივად გაცნობიერება არის აუცილებელი წინაპირობა წარმატებული შედეგისთვის. ჩვენ კლასიკური მაგალითი მოგვცა საპარლამენტო უმრავლესობამ და დაგვარწმუნა, რომ თუ ჩვენ ვიქნებით შედეგზე ორიენტირებული, პროცესი შეიძლება იყოს გარკვეულწილად კონსენსუსის საგანი, თავად მისი გამოხატვის კუთხით. ამავე დროს არ შეიძლება საუბარი ხისტი პოზიციებიდან, რადგან შესაძლოა დავაზარალოთ თავად ის მიზანი, რომლისკენაც მივდივართ. რასაკვირველია, მივესალმები და ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ დათო უსუფაშვილის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ეს იყო მთლიანად ქართული ოცნების ლიდერების ხედვა და ის, რომ დაკმაყოფილდა ნაციონალური მოძრაობის ახირება, არამც და არამც არ ამცირებს, პირიქით, ღირსებას მატებს საპარლამენტო უმრავლესობას. შესაბამისად, უკვე აღარავის აქვს საფუძველი რაიმე დემაგოგიისთვის და დარწმუნებული ვარ, მესამე მოსმენითაც ეს ცვლილება მიღებული იქნება და ხელისუფლებას მიეცემა საშუალება უფრო მშვიდ გარემოში აწარმოოს ქვეყნის მართვა და უფრო მნიშვნელოვან საკითხზე კონცენტრირდეს და არა მუდმივად საბოტაჟის და ცილისწამების და მოგერიების ვითარებაში იმყოფებოდეს.

— ახალი ეტაპი დაიწყო პოლიტიკურ ცხოვრებაშიო და რა ურთიერთობის ფაზაში გადავიდნენ ოცნება და ნაცმოძრაობა?

— მიუხედავად საყოველთაო ოპტიმიზმისა, მე არ მაქვს საფუძველი ვისაუბრო რაიმე ახალ ეტაპზე, რადგან საკანონმდებლო სივრცეში, ძალიან ბევრი საკითხია, რომელიც დაპირისპირებას იწვევს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. თავისთავად უმცირესობის მიერ დროზე ადრე აღებული გეზი, ხელისუფლებაში დაბრუნებისკენ, გამორიცხავს ამ ეტაპზე რაიმე სერიოზულ საფუძველს თანამშრომლობისა პარლამენტში. მით უმეტეს, ოქტომბრამდე, როდესაც ჩვენ გაუთავებლად ვისმენთ გაუწონასწორებელ კრიტიკას, ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებული პირისგან, რომელსაც აღარაფერი აინტერესებს ამქვეყნად, გარდა აუგის გავრცელებისა დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ ვერ შეიცვლება ნაციონალური მოძრაობა ერთი კენჭისყრის საფუძველზე. ისინი მუდმივად იქნებიან მავნებლობის რეჟიმში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე განსაკუთრებით საზღვარგარეთაც და სამწუხაროდ, ამის მაგალითების დეფიციტი არ გვექნება. პირველივე საკითხი, რომელზეც დაიწყო მსჯელობა პარლამენტში, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მიღწეული კონსენსუსის შემდეგ, ვგულისხმობ იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების თემას. გვარწმუნებს იმაში, რომ თავად უმცირესობის წევრი დეპუტატებიც არ არიან თავისუფალნი საკუთარი ნების გამოხატვაში და პრეზიდენტისა და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, რომელიც ახლა უკვე ხელმძღვანელობს პრაქტიკულად ნაციონალური მოძრაობის ქმედებებს. მუდმივად არსებობს ზეწოლა და მცდელობა იმისა, რომ არავითარი თანხმობა და სიამტკბილობა პარლამენტში არ დამყარდეს. ამიტომ საპარლამენტო ბრძოლა გრძელდება და დიდი სურვილია ეს ბრძოლა იყოს კანონების დაცვით და არა კანონებს გარეშე.

— თუმცა სერიოზული ბერკეტი მაინც გამოეცალა პრეზიდენტს ხელიდან და რაიმე საფრთხის მატარებელია კიდევ?

— ეს ბერკეტი, საპარლამენტო უმრავლესობაზე უფრო ადრე, სააკაშვილს გამოაცალა ქართველმა ხალხმა. მართალია არსებობს გარკვეული მოსაზრებები, რომ მისი მხრიდან ქმედებები შეიძლება ყოფილიყო არაადეკვატური, როგორც ჩანს, საღი აზრის მატარებლები არიან ნაციონალურ მოძრაობაში და თუ ოდნავ მაინც გავაცნობიერებდით, რა სცენარით შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები საქართველოში, ამ ცვლილების მიუღებლობის შემთხვევაში და როგორ დაკარგავდა პარლამენტი საერთოდ ნდობას მოსახლეობისგან და შესაბამისად სწორედ ხალხი იქნებოდა ის ძალა, რომელიც თავს აარიდებდა ნეგატიური განვითარების სცენარებს. რასაკვირველია, ეს იქნებოდა ბევრად უფრო მტკივნეული პროცესი, ბევრად უფრო ზიანის მომტანი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟისთვის, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის პერსპექტივა ნულოვანი იყო, რომ რაიმე უკეთესი შედეგისთვის მიეღწია, გარდა ამ ცვლილების შეტანის მხარდაჭერისა.

— ბატონო სოსო, საუბარია იმის თაობაზეც, რომ თითქოსდა ამერიკის ელჩი უხეშად ერევა ჩვენი ქვეყნის შიდა საკითხებში... ამის თაობაზე როგორია თქვენი მოსაზრება?

— თუ ბატონ ტეფტზე საუბრობთ და მის მეთოდებზე, ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევის, დაგეთანხმებით, მაგრამ ბატონი ნორლანდი, ჩემი აზრით, არის ნამდვილი სახე ამერიკული დემოკრატიისა, რომელსაც აინტერესებს არა ქვეყნის ხელისუფალნი, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები. ვინ თუ არა ამერიკის ელჩი უნდა იყოს ჩახედული იმ პროცესებში, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ნაციონალური მოძრაობის ოცნება იმის თაობაზე, რომ ამერიკის ელჩი გახდეს ევროპის სახალხო პარტიის წევრი, აუსრულებელია! არადა, როგორ ნატრობენ ალბათ ამას. შეფასებები არ არის რაიმე კრიტიკის საფუძვლის მომცემი, რადგან ადამიანი, ისევე როგორც ზოგიერთი მისი წინამორბედი, ვთქვათ, იგივე ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში, არის მოწოდებული ქვეყანაში სიმშვიდისა და თანამშრომლობის გარემოს შექმნისათვის. როდესაც საკუთარ ქვეყანას წარმოადგენ შენს სტრატეგიულ პარტნიორთან, რასაკვირველია, ვალდებულებებიც მეტი გაქვს და პასუხისმგებლობებიც. შესაბამისად გარკვეული ინფორმაციის წვდომა არის აუცილებელი, რის გამოც ელჩი არ თაკილობს ხშირად შეხვდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ლიდერს და იყოს საქმის ყურში არა ქართულ მედიაზე დაყრდნობით, არამედ პირადი შთაბეჭდილებების გზით.

— ბატონო სოსო, უკვე მიმდინარეობს საუბრები პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლაზე პარლამენტში და ამ საკითხზე როგორც მთავრობას ისე საპარლამენტო უმრავლესობას განსხვავებული შეხედულებები აქვს. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?

— მე მგონი, ყოველნაირი პარტიული დისციპლინის აპოგელიტიზმის გარეშე, დეპუტატებს უნდა მიეცეთ საშუალება, ინდივიდუალურად გამოხატონ დამოკიდებულება ასეთი გამოსვლის ავტორის მიმართ. არ არის აუცილებელი ასეთი დემარშები, ვისაც სურს, იჯდეს, ვისაც სურს, გაერიდოს მისთვის არასასურველ გარემოს, მაგრამ რაიმე პოლიტიკური განაჩენი ამ ეტაპზე არ იქნება სიკეთის მომტანი. თუ ასეთი პროტესტი გააჩნია მთლიანად ქართულ ოცნებას და მის ლიდერებს, მაშინ კეთილი უნდა ენებათ და 20 იანვრის თარიღი, ყურიდან ყურში არ უნდა გაეტარებინათ.

— რაც შეეხება იგივე სასამართლოების თემას, საუბარია იმის შესახებ, რომ ახლა მხოლოდ ეს ბერკეტი შემორჩათ, თანაც საკმაოდ სერიოზული, რითაც შეუძლიათ ასე თუ ისე სიტუაციის მართვა. ისინი აცხადებენ, რომ მხარს არ დაუჭერენ ამ წესით იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებას. რამდენად არის შანსი, დროულად აღდგეს სამართლიანობა და საზოგადოების ეს ძირითადი დაკვეთა დროულად განხორციელდეს?

— ყველაზე დიდი საფრთხე, ნაციონალური მოძრაობის, გახლავთ სწორედ სამართლიანობის აღდგენა და ამიტომ ეს მათთვის არის ბრძოლა, პოლიტიკური სიცოცხლისათვის. ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას განკარგავდა უსამართლობის ყველა პარამეტრის გამოყენებით, რასაკვირველია, ვერ შეიცვლება იმდენად, რომ სამართლიანობის დაცვა მისი მოთხოვნილება გახდეს. როგორი რიტორიკითაც არ უნდა სარგებლობდეს დღეს ნაციონალური მოძრაობა, არავის დავიწყებია მათი მმართველობის პერიოდი და შესაბამისად ადამიანები, რომლებიც ვერც კი აცნობიერებენ, რა ტიპის მმართველობა ჰქონდათ სწორედ სამართლიანობასთან მიმართებაში, ან შესაძლოა გულში ვინმეს რამე რეჩხი აქვს, მაგრამ ამის გამოთქმის უფლება არ გააჩნია. ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, სამართლიანობა იყო და რჩება ქართველი საზოგადოების მოთხოვნის უპირველესი კრიტერიუმი. ამდენად, პარლამენტის მიერ ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნება მოწონებული მოსახლეობის მიერ. ბოლოს და ბოლოს იმედი მაქვს, რომ რაღაცას ვენეციის კომისიაც ისწავლის საკუთარ შეცდომებზე. როდესაც, მაგალითად, ის იწუნებს პარლამენტის კანონს – ამნისტიის შესახებ. იმის გამო, რომ საქმეები არ განიხილეს სასამართლოებმა, თითოეული პატიმრისა, უკაცრავად მაგრამ ადამიანებს, რომლებმაც არაპროფესიონალიზმისა და უსინდისობის მთელი მარაგი ამოწურეს, იმისთვის, რომ უდანაშაულო ხალხი ციხეში გაემწესებინათ, ვგულისხმობ სწორედ ამ ვაი მოსამართლეთა საკმაოდ მოზრდილ გუნდს, რასაკვირველია აღარ უნდა ჩააბარო თავიანთი მსხვერპლი, ეს აღარ იქნებოდა აღარანაირი სამართალი. ეს იმას მაგონებს, პატიმრებისთვის არჩევნების უფლება რომ დაიჩემა ვენეციის კომისიამ და დუმილი ამჯობინა ციხის კადრების გავრცელების ფაქტზე. როცა კომისია ვერ ერკვევა ევროპულ და ქართულ ციხეებს შორის რა განსხვავებული სტანდარტები მოქმედებდა ნაციონალური მოძრაობის პირობებში, მაშინ ამ კომისიას, ვენეციისა ერქმევა თუ კუალალუმპურის, მნიშვნელობა აღარა აქვს. ამიტომ ჩვენმა პარლამენტმა მოიხმო სწორედ პოლიტიკური ნება იმისთვის, რომ ის მავნებლობა, რომელიც ზოგის შემოქმედების შედეგი იყო, ხოლო ზოგისგან მოყრუებისა, აღარ ჰქონდეს მას ადგილი ქართულ რეალობაში.

— მხოლოდ ზედაპირულად უყურებდნენ პროცესებს და შიდა კულუარული ინფორმაციებით არასოდეს დაინტერესებულა ვენეციის კომისიაო...

— უკაცრავად და, შიდა კულუარული არ ყოფილა ის ინფორმაცია, რომელიც მათ უნდა სცოდნოდათ. დაწყებული იმ საკონსტიტუციო მოდელიდან, რომელიც 2010 წელს საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ შექმნა. დღეს საუბარი იმაზე, რომ ვინმემ რამე არ იცოდა, შესაძლოა ნაწილობრივ დავაბრალოთ იმდროინდელ ხელისუფლებას, რომელიც ყოველთვის წარმატების ფორმულას წარმოადგენდა ნაკლებად საქმეში ჩახედული სისტემებისთვის, მაგრამ ქართველი საზოგადოება არც მაშინ დუმდა და არც ახლა დადუმდება. ჩვენთვის კვლავაც მიუღებელი იქნება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯაშუშებად წოდებული უდანაშაულო ადამიანების საქმეების განსაჯაროებას, ეწინააღმდეგება ზუსტად იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც თავად შექმნეს ეს ცილისმწამებლური ბრალდებები, იმედი მაქვს, რომ ბატონი მინისტრი თავად გაერკვევა ამ საკითხში და მისცემს საზოგადოებას საშუალებას, განაჩენი მაინც წაიკითხონ იმ „ჯაშუშების“ ბრალდებების აღწერით და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს ვინმეს უფლება, მოიხსენიოს ჯაშუშად სრულიად ნაციონალური მოძრაობის ბოროტების მსხვერპლთა მიმართ. ჯერჯერობით არ არის განსაჯაროებული არც ფოტოგრაფების საქმე, არც იმ ქართველი პილოტების საქმე, არც გლობალიზაციის ინსტიტუტის თანადამფუძნებლების, ვახტანგ მაისაიას და ბაკურ გიყურაძის საქმე. ყველას შენარჩუნებული აქვს ჯაშუშის სტატუსი. უკაცრავად, მაგრამ თუ ამას ყურადღებას არ მიაქცევს შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი და იუსტიციის მინისტრი, მათ მიმართაც სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდება საზოგადოებას.

— ითქვა, კიდეც, რომ პროკურორი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესებში დააწინაურეს... რატომ ვერ აგვარებენ ამ პრობლემებს ძალოვანი მინისტრები?

— რომ გითხრათ, რომ მათ საქმე აკლიათ და რაიმე ძალისხმევას არ იჩენენ მრავალი მიმართულებით, არ ვიქნებოდი ობიექტური, მაგრამ ეს არის განსაკუთრებული თემა. ეს იქნება სამართლებრივი ცოცხების გამჟღავნება. დღეს ცოცხს მარტო პირდაპირი მნიშვნელობა აღარა აქვს ჩვენს ცნობიერებაში. სწორედ გამომძიებლების, მოსამართლეების და პროკურორების მიერ ცოცხით გამასპინძლება უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ, კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნება მთელი საზოგადოებისთვის და ნაკლები მოტივაცია ექნება იმ პოლიტიკურ გუნდსაც ევროპაში, რომელსაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ცალი თვალი და ცალი ყური აქვს და მეორეთი ვერც ვერაფერს ხედავს და ვერც ვერაფერს ისმენს.

— რაც შეეხება ამ ყბადაღებულ თემას – 19 აპრილს, როგორ ფიქრობთ, რა დატვირთვას შეიძენს ეს დღე? ის ინტრიგის მარცვალი, რაც ჩადებული იყო მასში, საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ დაიკარგა...

— ერთადერთი, რაც დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ 19 აპრილის შემდეგ იქნება 20 აპრილი. რაიმე ტიპის მოლოდინი ძნელად წარმოსადგენია, რასაკვირველია, იქნება მცდელობა, რომ იყოს შეკრება მრავალათასიანი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამოუვიდეს კიდეც ნაციონალურ მოძრაობას. არ მაქვს საფუძველი ვამტკიცო, რომ ფულით იქნება მოგროვილი ეს საზოგადოება. თუმცა ამაზე ქართულ მედიაში არის უკვე გარკვეული ინფორმაცია. თუ რაიმე შემოსავლის ახალი ფორმა გააჩინეს ნაციონალებმა, კი ბატონო, დახარჯონ, დახარჯონ, იმდენი აქვთ გადანახულ გადამალული და მიტაცებული, რომ მათ ფინანსურ შესაძლებლობებს, რაიმე ხინჯი მაინც არ მიადგება. გეთანხმებით იმაში, რომ ინტრიგა აღარ არსებობს და ინტერესი ამ საკითხის მიმართ საზოგადოებაში ნაკლებია.

„ქართული ოცნება“ ვალდებულია, სააკაშვილის იმპიჩმენტი დააყენოს!

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან

— ბატონო დიმიტრი, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას პოლიტიკური ასპარეზიდან ვერც ახლა და ვერც მომავალში ვერავინ გაიყვანს. როგორ ფიქრობთ, 1 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალები აქტიური პოლიტიკიდან გაყვანილები და, საერთოდ, საზოგადოების მიღმა არ არიან დარჩენილები? საზოგადოება მათ ხომ გაემიჯნა?

— შევაფასოთ, რის შემდეგ აკეთებს სააკაშვილი ამ განცხადებას, როგორ ჯდება სააკაშვილი ტანკში, როდესაც რამდენიმეთვიანი პოლიტიკური ალერსის შემდგომ ხდება „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის პოზიციების სრული თანხვედრა, რაც გამოიხატა კონსტიტუციურ ცვლილებებში, ჯერ რეიტინგულ კენჭისყრაში მონაწილეობით, შემდგომ კი ამ კანონპროექტის ერთსულოვნად მიღებაში.

— პოლიტიკური ალერსი?

— დიახ, პოლიტიკური ალერსი ჰქვია იმას, როცა უმრავლესობა და უმცირესობა დაძაბულობის ველს ქმნიან, მის პოტენციურ სახესხვაობას წარმოშობენ, რაც პოლიტიკურ ძაბვაზე მიუთითებს ქვეყანაში. ხდება სრული მონოპოლიზება ერთი მხრივ პოზიციის მიერ (რომელიც რამდენიმე სუბიექტისაგან შედგება), ხოლო მეორე მხრივ, ოპოზიციური ველის პყრობის ექსკლუზიურ უფლებას „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას აძლევს, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების წარმატებით დასრულების შემდეგ (რაც, პირველ რიგში, საზოგადოებამ გაიფორმა), პოლიტიკური ველიდან გაძევებული იყო. საზოგადოების დაკვეთა გახლდათ, სხვა ძალის მიმართ არავითარი სიმპათია არ ყოფილიყო. არა იმიტომ, რომ არავინ იმსახურებს სიმპათიას ქვეყანაში „ქართული ოცნების“ გარდა. ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, რადგან „ქართული ოცნება“ იმ პოლიტიკურ ბულდოზერს წარმოადგენდა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური სივრციდან უნდა გაეყვანა. საზოგადოების ასეთი მაღალი მხარდაჭერის ფონზე, მან ეს შეძლო. სხვა საკითხია, რატომ არ ხორციელდება მათი დაპირებები იმ დოზით, იმ მასშტაბებით და იმ მოცულობით, რა დაკვეთაც საზოგადოებაში არსებობდა, არსებობს და, ალბათ, მომავალშიც იარსებებს. ამ შემთხვევაში საუბარია ნაციონალური რეჟიმის გასამართლებაზე, რომელიც ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო ვალდებულება იყო, ვინაიდან სამართლებრივი გარემოს აღდგენა სხვანაირად ვერ გაიგება თუ არა რეჟიმის პასუხისმგებლობა სრული მოცულობით. ამისთვისაც უნდა გადადგმულიყო თანმიმდევრული ნაბიჯები.

— შესაძლოა ამისთვისაც დროს ელოდებიან? ახლახან გავიგეთ, რომ კოჰაბიტაციის კლასიკურ ქვეყანაში, საფრანგეთში, ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიმართ, სისხლის სამართლისა საქმეა აღძრული. შეიძლება საქართველოშიც ელოდებიან შესაბამის დროს, როცა ვადაგასულ სააკაშვილს ვადაგასული უფლებამოსილებაც აღარ ექნება და პასუხს მოსთხოვენ.

— სარკოზის მიმართ საქმე აღძრული იყო ჯერ კიდევ 2007 წელს. ეს ძალიან კარგად იცოდა საზოგადოებამ და თავად სარკოზიმაც, მაგრამ პოლიტიკური იმუნიტეტიდან გამომდინარე, საქმის წარმოება იყო შეჩერებული, ან მიმდინარეობდა ფარულად და, როდესაც ფრანგმა ხალხმა სარკოზი გადაირჩია, საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს. ასე რომ, აქ მაგალითის მოყვანა კლასიკური კოჰაბიტაციის ქვეყანასა და სახელმწიფოდ წოდებულ საქართველოს შორის, ნამდვილად არ არის თავსებადი.

— ანუ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას და მისი დასრულება შემდეგ უნდა მოხდეს?

— მე ვფიქრობ იმას, რასაც ამ ქვეყნის საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ფიქრობს. პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი ქვეყანაში არსებობდა და არსებობს, სხვა საკითხია, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები არ ხორციელდება ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ერიდება დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობების გაფუჭებას. მიზეზი ესაა და არა ის, რომ „ქართული ოცნება“ კოჰაბიტაციის სენითა დაავადებული. ამ შემთხვევაში იმპიჩმენტი არ არის საზოგა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალებმა პოზიციები გამოისწორეს“

შორენა კოწოწაშვილი

პრეზიდენტის კმაყოფილებისა და ომახიანი განცხადებების ფონზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩატარებული სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ გააკეთა, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი მაინც დარწმუნებულია, რომ ნაციონალებმა პოლიტიკური ბრძოლა წააგეს და დღეს მხოლოდ ხავსს ეჭიდებიან.

რამდენად სახიფათოა ენების ქარტიის ფარგლებში ახალქალაქის საკრებულოს მოთხოვნა სომხურის რეგიონულ ენად გამოცხადების თაობაზე და ამ ინიციატივის ხელისუფლებასთან ასოცირება და რის იმედად დარჩნენ ნაციონალები? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **გელა ნიკოლაიშვილთან.**

– ბატონო გელა, საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესმა იქამდე მიიყვანა, რომ დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი ამაყად აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა შეკრული ძალაა, საპარლამენტო უმრავლესობა კი – ძალა, რომელმაც სარეიტინგო კენჭისყრით ნაციონალების რეანიმაცია მოახდინა. ასეა?

– მთლიანობაში მათ ეს პოლიტიკური ბრძოლა, რა თქმა უნდა, წაგებული აქვთ ფართო მასშტაბით. სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ და ჭადრაკის პარტიას რომ შევადაროთ, რა თქმა უნდა, მათი პოზიცია ამ ნაწილში არის ძალიან მძიმე, თუმცა მინდა ვაღიარო, რომ აი, ეს სვლა, რაც მათ გააკეთეს ამ სარეიტინგო კენჭისყრასთან დაკავშირებით, იყო ძლიერი სვლა. საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოისწორეს პოზიცია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს საჭადრაკო პარტია მათ წაგებული აქვთ. უსუფაშვილს საპარლამენტო უმცირესობის ეს მოთხოვნა რომ არ დაეკმაყოფილებინა და სარეიტინგო კენჭისყრას არ დათანხმებოდა, ნაციონალებს მეორე ძლიერი სვლა ჰქონდათ და ეს საკაშვილმა თვითონ განაცხადა, თუ არ მიიღებდნენ ამ წინადადებას, კენჭისყრა ჩავარდებოდა და მერე მე შევიტანდი დაახლოებით იგივე ვარიანტს და ასეთ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. გამოვიდოდა, ან ხმა უნდა მიეცა, თუ ცვლილებები უნდოდა, ოღონდ ამ შემთხვევაში ინიციატივას უკვე ნაციონალები იღებდნენ, ან უნდა უარი ეთქვათ ხმის მიცემაზე და სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, რომ ახლა თავად სააკაშვილი სთავაზობს, წაიღეთ ჩემი უფლებებიო და ესენი უარს ამბობენ. აქედან გამომდინარე, ეს იყო საკმაოდ ძლიერი სვლა. რაც შეეხება ნაცმოძრაობის რეანიმაციას, გარკვეულად პოზიციების გამოსწორება რეანიმაციას არ ნიშნავს, თუმცა, როგორც ვთქვი, პოზიციები ცოტათი გამოისწორეს.

– ანუ არც მთლად ისეა საქმე, როგორც პრეზიდენტი წარმოაჩენს? საპარლამენტო უმცირესობა შეკრული და ძლიერი გუნდია და რომ მას პოლიტიკური არენიდან ვერავინ გაიყვანს...

– პირველ ორ შეფასებაში გეთანხმებით, რომ ასეა. მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ მას პოლიტიკური არენიდან ვერავინ გაიყვანს, უბრალოდ დავაზუსტებდი: რამდენიმე თვის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში, ოქტომბრამდე. მერე რა მოხდება, ის ხავსები, მე ასე ვიტყოდი – მერია, პრეზიდენტის ინსტიტუტი, სასამართლო, გამგეობები, თანდათან ისინიც არენიდან გავლენ.

– თქვენ საკმაოდ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, თუმცა საზოგადოებაში სკეპტიციზმი მატულობს. ფაქტია, უმრავლესობაში შეთანხმებული მოქმედება არ იკვეთება, ოცნების დეპუტატები იმასაც აღიარებენ, რომ ყველა დეპუტატს არ იცნობენ. ეს ყველაფერი მაინც გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ნაციონალები მხოლოდ ოქტომბრის ბოლომდე შეიძლება ხმაურობდნენ?

– კი. ვფიქრობ, აუცილებლად გამოიკვეთება ოპოზიცია. რეალურად დღეს ნაციონალები ოპოზიცია არიან მხოლოდ პარლამენტში და იმ სტრუქტურებში, სადაც ბერკეტებს ფლობენ. მაგრამ, რეალურ ოპოზიციად ითვლება ის ძალა, რომელსაც მეტი მხარდამჭერი ჰყავს ოპოზიციურ ძალებს შორის. ნაციონალებს ცოტა მხარდამჭერი ჰყავთ. იმდენი არა, რომ ისინი ითვლებოდნენ მთავარ ოპოზიციურ ძალად. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ამ თვეების განმავლობაში აუცილებლად გამოიკვეთება ძლიერი ოპოზიციური ძალა. ოპოზიცია უნდ გაძლიერდეს. რეალური პოლიტიკური ცხოვრებისთვის ნაციონალები მთავარ ოპოზიციურ ძალად არ უნდა მოიაზრებოდნენ. კლასიკური გაგებით ოპოზიციური ნიშა დღეს არის ცარიელი. საპარლამენტო უმცირესობას დღეს იმის მეათედი მხარდაჭერა არ აქვს საზოგადოებაში, რამდენი ნაცმოძრაობის წევრიცაა პარლამენტში. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ახალი არჩევნები დაგვანახვებს, ვინ დაიკავებს ოპოზიციის ადგილს. ეჭვი არ მეპარება, რომ ნაციონალებს არავითარი მხარდაჭერა არ აქვთ. შესაძლოა, სხვა პარტიიდან გაიმარჯვონ 27 აპრილის არჩევნებში. იმასაც დავინახავთ, რა რაოდენობის ხმებს მიიღებენ ნაციონალები. ეს იქნება მათი რეალური რეიტინგი. იმიტომ, რომ ახლა არჩევნების გაყალბების ბერკეტები მათ აღარ აქვთ და ვნახავთ, რომ 5-დან 10%-მდე მხარდაჭერა ექნებათ. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც მგონია, არის ის, რომ დღეს რეალური ოპოზიციური ძალა ვერ ჩამოყალიბდა. შესაძლოა, თარხანმოურავის მიერ შექმნილი პარტია, ანდა ძველი პარტიები ჩამოყალიბდნენ ოპოზიციურ ძალად. თუმცა, ჩემი აზრით, ძველ პარტიებს უფრო ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე ახლებს. ამ შემთხვევაში ძველი ძალები ან ახალ პარტიებში უნდა გადანაწილდნენ, ან ახალი სახეები უნდა გამოჩნდნენ. მხოლოდ ასე თუ შეიძლება ნაციონალების შევიწროვება. თორემ დღეს ნაციონალები იმიტომ ხმაურობენ, რომ პარლამენტში სხვა ოპოზიციური ძალა არ არის.

– პრეზიდენტის განცხადებით, ახალი ნაციონალური მოძრაობა დაიბადა. მის ნათლიად კი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იქცა... ახალი სახეებით გაძლიერდება ნაცმოძრაობა თუ მართლაც ახალი პარტია ჩამოყალიბდება მათ ბაზაზე, როგორც ითქვა, უცხოეთში მუშაობენ საკაშვილის პარტიის განახლება-გადასხვაფერება ზეო.

– ახალი სახეები არ ეყოლებათ. მაშინ ბევრი ძველი სახე – ბოკერიები, წიკლაურები, გაბაშვილები და ა.შ. უნდა გაუშვან. ისინი უაღრესად არაპოპულარულები არიან. სააკაშვილი იმიტომ იყო გახარებული, რომ აჩვენა, ჩვენ ვცოცხლობთ, ვვარსებობთო. მან ეს, პირველ რიგში, თავის მომხრეებს დაანახვა და უჩვენა, ჩვენ ისევ ანგარიშგასაწევი ძალა ვართო. რაც შეეხება მოსყიდვას, გადმობირებას, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი უკავშირებს თავისი გუნდის შეთხელებას, არა მგონია, რომ მთავარი არგუმენტი აქ მოსყიდვა და გადაბირება იყოს. უბრალოდ, აქ არის ჩვეულებრივი ადამიანური მომენტი, როდესაც უფრო ძლიერისკენ მიდიან ადამიანები და უფრო მართლისაკენ. თუ პოლიტიკური ძალა მართალიც არის და ძლიერიც, რა თქმა უნდა, უფრო მეტად იზიდავს ხალხს. ამ ეტაპზე ნაციონალებთან შედარებით რომ სიმართლეც და ძალაც რომ ოცნების მხარეს არის, ამაში ეჭვი არ მეპარება.

– დღეს საკმაოდ მძიმედ გამოიყურება ახალქალაქის საკრებულოს მიერ სომხური ენის რეგიონალ ენად გამოცხადების მოთხოვნა და თანაც ის ფაქტი, რომ ეს საკრებულოს რესპუბლიკელი წევრის მხრიდან დადგა. ჯავახეთში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადების მოთხოვნა და აქ რესპუბლიკელების აქტიურობა რამდენად სახიფათოა?

– მე ერთ-ერთ შეცდომად მიმაჩნია რესპუბლიკელების და აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნებისაც“, როდესაც ამ იდეის ასოცირება მოხდა მათ კოალიციასთან. რა თქმა უნდა, თავისთავად შესაძლოა ეს ტერმინი მაინცდამაინც თავისი შინაარსით არ იყო საშიში, მაგრამ ის გეგმა და შინაარსი, რასაც ამ ტერმინში დებენ, მართლაც სახიფათოა, პირველ რიგში, პოლიტიკოსებისთვის. იმიტომ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში წამგებიანი ქულების დაწერისთვის მოგეხსენებათ, სეპარატიზმის საფრთხის ნიშნები და ასეთი მისწრაფებები კომპაქტურად ჩასახლებულ სომხურ მოსახლეობაში არის, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ წრეებში მაინც, მათ ლიდერებში. ბევრი მათგანი თავის იდენტიფიკაციას არ ახდენენ ქართულ სახელმწიფოსთან. ამას რომ რეგიონული ენა დაემატოს, ეს არის ძალიან სახიფათო. ან იმის თქმა, რეგიონული ენის აღიარების გარეშე, რომ თითქოს ჩვენ ამით ევროპელების გულს მოვიგებთ ან თუ არ მივიღებთ, მათ გულისწყრომას დავიმსახურებთ, ეს არის ტყუილი. ყველა ხელისუფლება, პირველ რიგში, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეს. ევროპული ქარტია გულისხმობს, გაუფრთხილდნენ იმ ენებს, რომლებსაც შევიწროვების ან სიკვდილის საფრთხე ემუქრებათ. არც ერთი არ არის და არც მეორე ჯავახეთში. ასეთი საფრთხე იქ სწორედ ქართულ ენას უკავშირდება და საფრთხის ქვეშ ამ რეგიონში სწორედ ქართული ენა დგას. ეს ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნია ძალიან არასასურველ და სახიფათო ნაბიჯად. პირველ რიგში, ამ იდეის „ქართულ ოცნებასთან“ იდენტიფიცირება, თორემ სომხურ მოსახლეობაში ეს აზრი რომ ტრიალებს, ეს ახალი არ არის. ძალიან სახიფათო და ძალიან ცუდი ტენდენციაა, ამ იდეის ხელისუფლებასთან ასოცირება რომ მოხდა.

– მოდით, საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტზე ვისაუბროთ, რომელიც ნაციონალებისთვის მიუღებელია და რომლის შესახებად პრეზიდენტმა ღიად თქვა, რომ ამ კანონს ვეტოს დაადებს.

– ჰო, თუმცა პრეზიდენტმა ისიც იცის, რომ ვეტო დაძლეული იქნება. აქედან გამომდინარე, მე როდესაც ჩამოვთვალე ის ხავსები, რომელსაც საკაშვილი და ნაცმოძრაობა დღეს ეჭიდება, ვთქვი, რომ ერთ-ერთი არის სასამართლო. ეს ხავსიც ხელიდან ეცლებათ. ამიტომ, ბუნებრივია, მათი ასეთი თავგამოდებული ბრძოლა იმისათვის, რომ სასამართლო ჰყავდეთ ხელში. მე მგონი, მათი ეს მცდელობა განწირულია. ახლა ისინი ამბობენ, რომ ისინი იბრძვიან არა სასამართლოს მათ ჯიბეში დარჩენისათვის, არამედ თითქოს იბრძვიან სასამართლოს დამოუკიდებლობის გადარჩენისთვის. ნაციონალები გვიმტკიცებენ, რომ აქამდე სასამართლო დამოუკიდებელი იყო, რაც სრული სისულელეა და ამის არავის სჯერა. აქედან გამომდინარე, ეს ბერკეტი მათ აუცილებლად გამოეცლებათ, ოღონდ ამას დრო სჭირდება, მინიმუმ რამდენიმე თვე, მაქსიმუმ – რამდენიმე წელი. ეს პროცესია და არა ერთჯერადი აქტი. ეს კანონი ამ მიმართულებით არის ერთ-ერთი ნაბიჯი.

– ანუ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მაინც დადებითად აფასებთ. თუმცა სამართლიანია კრიტიკა იგივე პროკურატურის, დასაქმების, ეკონომიკური მდგომარეობის არგამოსწორების და სხვა მიმართულებით. არ მეთანხმებით?

– მდგომარეობის გამოსწორება, ვფიქრობ, თვალსაჩინოდ არ მომხდარა. მაგრამ არ გაუარესებულა. თუმცა დემოკრატიის თვალსაზრისით უდავოდ მოხდა წინსვლა – შიშის ფაქტორის მოხსნა, ტოტალიტარული რეჟიმის ერთიანი სისტემის მოსმენა-დასმენების ცხოვრების წესად ქცევა, პატიმრების წამების, თუნდაც მოსამართლეების მიერ წინასწარ გადაწყვეტილი განაჩენების გამოცხადება და ა.შ. ამ მიმართულებით დადებითისკენ ბევრი რამ შეიცვალა. რაც შეეხება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გეთანხმებით, რომ ამ მხრივ, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ ჩანს, შეიძლება საერთოდაც არ გაუმჯობესებულა. მაგრამ თუ ამას არც აქტივში არ ჩავთვლით და არც პასივში, სამაგიეროდ, მეორე კუთხით – დემოკრატიზაციის კუთხით აქტივი ნამდვილად არის. ამიტომ ხელისუფლების მოღვაწეობას ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ნამდვილად დადებითად ვაფასებ. თუმცა ის სისტემები, რომელიც დაულაგებელია, თვითონ საკადრო პოლიტიკას, ხარვეზებს მართვის სისტემაში და იმას, რომ პროკურატურაში 90% ისევ ძველი პროკურორები არიან, ეს უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაზე.

– მთავარი პროკურატურის სისუსტის მაჩვენებელია ის, რომ უწყების 90%-ს ისევ სააკაშვილის გუნდის მიერ დანიშნული პროკურორები შეადგენენ? ფაქტია, ნაციონალები კბილაშვილს და მის უწყებას უკვე დასცინიან...

– მე ვფიქრობ, რომ ეს არის სისუსტის მაჩვენებელი, თუ ნაციონალები პროკურატურას დასცინიან, ეს ნიშნავს, რომ თავიანთ თავს დასცინიან. მათი პროკურორები არიან დღესაც პროკურატურის სისტემაში უდიდესი უმრავლესობით. როგორც მაშინ მუშაობდნენ ეს პროკურორები, დღესაც ისე მუშაობენ. სხვაობა ის არის, რომ არჩილ კბილაშვილის მხრიდან მათ არ აქვთ მითითება, რომ ყველა დამნაშავედ ჩათვალონ, ვის მიმართაც გამოძიებას კითხვები ექნება და სასამართლოზე გავლენა ჰქონდეთ. ჩემი ინფორმაციით, დღეს 22%-ია გამამართლებელი განაჩენების. ეს უკვე კარგია. ასე რომ, თუ იმ თვალსაზრისით დასცინიან პროკურატურას, რომ ვერ ახერხებენ იმ მეთოდების გამოყენებას, რითაც იღებდნენ აღიარებით ჩვენებებს ანუ თუ ეს დასაცინი ჰგონიათ, ეს საპარლამენტო უმცირესობის პრობლემაა. მე არ ვფიქრობ, რომ ეს დასაცინია.

„ქართული ოცნება“ ვალდებულია, სააკაშვილის იმპიჩმენტი დააყენოს!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დოების აღიარებული იდეაფიქსი. იმპიჩმენტის მოთხოვნა ობიექტური ინფორმაციიდან, მოცემულობიდან და არსებული ფაქტების ერთობლიობიდან გამომდინარეობს, რომელმაც, საბოლოო ჯამში, კონსტიტუციით მინიჭებული უფლება უნდა განახორციელებინოს „ქართულ ოცნებას“. იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება საქართველოს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული. როდესაც პოლიტიკური ძალა ასეთი დიდი მხარდაჭერით სარგებლობ, იმპიჩმენტი უნდა განახორციელო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დივიდენდები, რომელიც საზოგადოების მხრიდან აქვს „ქართულ ოცნებას“, მუდმივი არ იქნება და, საბოლოო ჯამში, ამან შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პოლიტიკური კოლაფსი.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი რეალურად ფიქრობს, რომ მომავალ წლებში კვლავ დარჩება პოლიტიკაში თავისი გუნდით, თუ ამით თავისი დამარცხების გადაფარვა უნდა?

– მიხეილ სააკაშვილი თავის ორსაათნახევრიან ინტერვიუში აბსოლუტურად აცდენილი იყო იმ რეალობას, რომელიც არის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. კარგად მესმის, რომ იქ საუბარი იყო პარაშუტებზე – ნაციონალური მოძრაობა ძალიან დიდი სიმაღლიდან გადმოხტა და პარაშუტები რომ არ შეგვეშველებინა, ისინი ძირს დაენარცხებოდნენო. ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადება იყო, რომ მას სულაც არ სურს, ნაციონალური მოძრაობა გავიდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციიდან, ანუ იყო განცხადებები, რომელიც სააკაშვილმა იმ წამსვე სათავისოდ გამოიყენა და სრულიად არაადეკვატური, მაგრამ ძალიან აგრესიული ტონით ისევ შემოუტია საზოგადოებას – შეახსენა მას, რომ მისი მომრევი პოლიტიკური ძალა ქვეყანაში არ არსებობს.

– რეალურად ასე არის?

– რა თქმა უნდა, არა. თუმცა, ყველაფერი დასაშვებია თუკი საზოგადოების, ხალხის ნებას მისი ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალა არ შეასრულებს. ლაპარაკი მომავალ ფინანსურ პოლიტიკურ ამნისტიაზე ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებებია, მაგრამ ჩვენ უკან რას ვიღებთ? საზოგადოება პატიობს ნაციონალურ მოძრაობას იმ მხეცურ და არაადამიანურ ნამოქმედარს, რასაც წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი? თუ მხოლოდ ერთი, ორი ან ხუთი პირია პასუხისგებაში მისაცემი? რეჟიმი არ არის გასასამართლებელი? არ გვექნება სამართლიანობა ქვეყანაში, არასოდეს არ გვექნება მშვიდობა. ამიტომ ძალიან სახიფათო ტენდენცია ყალიბდება დღეს. რაც უფრო გაღრმავდება ნიჰილიზმი, რაც უფრო მეტი დრო გავა და სამართლიანობა არ აღდგება, მით უფრო ძლიერად ამოინთხევა დაგროვილი და დაიწყება უმართავი პროცესები ქვეყანაში. როდესაც ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს გართმევენ, შვილს გიკლავენ, ცოლს ქმარს უჭერენ, ქმარს ცოლს უჭერენ, მშობლებს უჭერენ, ქონებას გართმევენ და დღეს ამ ყველაფრის შემსრულებლები კვლავ ხელისუფლებაში არიან, შენი, როგორც გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხიდან ხელფასსაც იღებენ, ეს შეიძლება სერიოზული სულიერი ამბოხების გამომწვევი ფაქტორი გახდეს.

– ნაციონალებმა მნიშვნელოვან მოთამაშედ იგრძნეს თავი ბოლო პროცესებით, რაც საქართველოს პარლამენტში განვითარდა?

– ფაქტია, რომ ზოგიერთმა ექსპერტმა ნაციონალური მოძრაობის ხელახლა დაბადებაზე დაიწყო საუბარი თავად მიხეილ სააკაშვილის განცხადების შემდეგ, რომელმაც თქვა, დღეს იშვა ახალი ნაციონალური მოძრაობაო. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის გულწრფელი აღსარების ხასიათზე მოვიდა, როგორც ადამიანი, რომელმაც რაღაც დიდი ჭირი გადაიტანა, რომლის საშიშროება აღარ ემუქრება და დღეს შეუძლია ბევრ რამეზე ილაპარაკოს. მაგალითად, თუნდაც იმაზე, რა იყო ჩახალიანის ხულიგნობის მუხლით დაკავების ძირითადი მოტივები. „არ დაფიქრდა“, ან ძალიან კარგადაც დაფიქრდა, თუმცა, განაცხადა, რომ ჩახალიანი ყოფილა ერთ-ერთი მთავარი სეპარატისტი და მისი გარეთ გამოშვება ქვეყნისთვის თურმე ძალიან დიდი ზიანის მომტანია. „არ დაფიქრდა“ იმაზე, რომ მისი ხელდასმით ძალიან ბევრ ადამიანს უკანონოდ, უმძიმესი ბრალდებებით სისხლის სამართლის საქმეები შეუკერეს.

სტიქიას მინისტრებიც ებრძვიან

ნათია ხურცილავა

ივანიშვილის ხელისუფლებას სტიქიამ, რომელიც რამდენიმე დღეა უკვე მძვინვარებს, სერიოზული გამოცდა მოუწყო. როგორ ჩაბარებს ამ გამოცდას ხელისუფლება, რომელსაც ამ მიმართულებით ნაკლები გამოცდილება აქვს? სააკაშვილის მთავრობა აეროპორტის სახურავის ახდა-დახურვაში გამოიბრძმედა. პრემიერმა გადაწყვიტა მასშტაბურ სტიქიას მასშტაბურად დაუპირისპირდეს და მთელი მინისტრთა კაბინეტი სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართო.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის გამო, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განკარგულებით, შეიქმნა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის საგანგებო შტაბი, რომელსაც ვიცე-პრემიერი კახა კალაძე უხელმძღვანელებს.

საგანგებო შტაბის მუშაობაში სხვადასხვა უწყებები არიან ჩართულები. შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო სტიქიის შედეგებს ერთიანად გაუმკლავდებიან, თუმცა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი მასშტაბურია და, შესაბამისად, სამუშაოებიც მასშტაბულია.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია აჭარასა და გურიაში სტიქიის შედეგად გამოწვეულ პრობლემებს ადგილზე გაეცნენ.

– სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის საგანგებო შტაბის წევრები – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და საქართველოს რეგიო-



ნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია აჭარასა და გურიაში გაემგზავრნენ, რათა სტიქიის შედეგად გამოწვეულ პრობლემებს ადგილზე გაეცნონ. მინისტრები თავდაპირველად ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში შექმნილ პრობლემებს გაეცნენ, რის შემდეგაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გადაინაცვლებენ და ვითარებას ადგილზე გაეცნობიან. როგორც ცნობილია, სტიქიამ ამ ორ რეგიონს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ბათუმში შტორმის შედეგად ახალი ბულვარის ტერიტორიაზე ბილიკამდე ამოვიდა წყალი, დაზიანდა საცხოვრებელი სახლის სახურავები. მთლიანობაში, მთელი აჭარის ტერიტორიაზე დაზიანებულია 150-ზე მეტი სახლის სახურავი, მათ შორის, 100-ზე მეტი ხელვაჩაურში, 4 ქობულეთში, საცხოვრებელი სახლის სახურავები დაზიანებულია ბათუმშიც. ქობულეთში ჩამოინგრა 40-მეტრიანი ნაპირდამცავი ნაგებობა, დაზიანებულია, ასევე, გარეგანათების ბოძები. ოზურგეთში დაზიანებულია 90 ინდივიდუალური სახლის, 4 სკოლისა და 1 ადმინისტრაციული შენობის სახურავი. ურეკში, კერძოდ, მაგნიტის დასახლებაში, პრობლემები შეექმნა ნაპირდაცვით ნაგებობებს, – აცხადებენ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში.

ფანჯიკიძის მოადგილედ ბერუჩაშვილი დაინიშნა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მისულ ჟურნალისტებს სამინისტროდან გამოსული სალომე ზურაბიშვილი შეგვხვდა. საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, როგორც პრესისთვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, სამინისტროში შეხვედრები გამართა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ზურაბიშვილი საქართველოში ამჯერად ჩამოვიდა როგორც ხელმძღვანელი და კოორდინატორი ე.წ. ექსპერტების ჯგუფისა, რომელიც უფლებამოსილია გაეროს სანქციების კომიტეტის და გაეროს შესაბამისი რეზოლუციების იმპლემენტაციის საკითხებზე.

– მე და ჩემს კოლეგებს გვქონდა პატივი მას შევხვედროდით. ეს არის ორდღიანი ვიზიტი და ის შეხვედრებს გამართავს ამ საკითხებით დაკავებული სხვა უწყებების ხელმძღვანელებთანაც, – განაცხადა ჯალაღანიამ.

როგორც ცნობილი გახდა, პრეზიდენტი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ თამარ ბერუჩაშვილის დანიშვნას დაეთანხმა.

როგორც თავად ბერუჩაშვილი აცხადებს, პრეზიდენტმა მისი დანიშვნის ბრძანებას ხელი 22 მარტს მოაწერა.

– საგარეო საქმეთა სამინისტროში ელოდებიან დოკუმენტაციას, რომელიც, იმედი მაქვს, მალე მოვა, – განაცხადა ბერუჩაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ვაკანტური იყო. მაია ფანჯიკიძემ მისი მოადგილის პოსტზე თამარ ბერუჩაშვილის კანდიდატურა პრეზიდენტს დაახლოებით 1 თვის წინ გადაუგზავნა, თუმცა მიხეილ სააკაშვილი ბერუჩაშვილის დანიშვნას ხელს არ აწერდა.

თამარ ბერუჩაშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრი, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილე.წინა მთავრობაში ბერუჩაშვილი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის მრჩეველი იყო, შემდეგ კი – ალექსი პეტრიაშვილის მოადგილე.

კვლავ კითხვები ისმის ჟენევის მოლაპარაკების ფორმატთან დაკავშირებით. დარჩება თუ არა იგივე ფორმატი თუ რეალურად შეიძლება რაღაც ცვლილებები მოხდეს?

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის ცვლილებას არ გამორიცხავს, თუმცა, ამბობს, რომ ამისთვის საქართველოს ხელისუფლება ფორმატის შეცვლის აუცილებლობას უნდა ხედავდეს.

ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ ფორმატის შეცვლას პირველ რიგში აფხაზი და ოსი მონაწილეები ითხოვენ, რათა რამენაირად სტატუსი შეიძინონ, თუმცა, იქამდე, სანამ საქართველო ვერ ხედავს ფორმატის შეცვლის აუცილებლობას, ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ აფხაზი და ოსი მონაწილეების მხრიდან სტატუსის ამაღლების სურვილია.

– ჩვენი პრინციპი ასეთია – ჩვენც გვაქვს გარკვეული კითხვები ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატთან. ვხედავთ, რომ შედეგები ისეთი არ არის, როგორიც შეიძლება აწყობდეს, როგორც ქართულ მხარეს, ისე – ზოგადად მონაწილეებს. ჩვენ გვაინტერესებს, რა შედეგებს მოგვიტანს ფორმატის შეცვლა, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე, რა ცვლილებები შეიძლება განიცადოს ჟენევის ფორმატმა, დავით ჯალაღანია ასე პასუხობს: – ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის ცვლილება არ იგეგმება.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს საკითხი დაყენებული იყო აფხაზური მხარის მიერ, თუმცა ფორმატში არანაირი კომპონენტის შეცვლაზე საუბარი არ არის.

– ზოგადად იყო მსჯელობა ფორმატის ცვლილებაზე. ქართულ მხარეს ასეთი მოთხოვნა არ დაუყენებია. ეს მომდინარეობდა საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლების მხრიდან. ამ ეტაპზე არავითარი ფორმატის ცვლილებაზე საუბარი არ არის. ჟენევის მოლაპარაკებების 23-ე რაუნდი 26-27 მარტს გაიმართება. საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი პირველად უხელმძღვანელებს. დისკუსიები შედგება ორივე სამუშაო ჯგუფის ფორმატში – როგორც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ისე ჰუმანიტარულ ჯგუფში. ჩვენ, როგორც ყოველთვის, დაინტერესებულები ვართ, რომ ეს დიალოგი იყოს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული და იმედი გვაქვს, რომ ხელშესახები შედეგით შეიძლება დაბრუნდეს საქართველოს დელეგაცია, – განაცხადა ჯალაღანიამ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 27 მარტს საქართველოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავითოღლუ ეწვევა.

მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ქართველ კოლეგას მაია ფანჯიკიძეს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს შეხვდება.

28 მარტს ახმედ დავითოღლუ ბათუმში გაემგზავრება, სადაც 3 ქვეყნის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართება.

მხარეები უწყებათაშორისი თანამშრომლობის 2013-2015 წლების გეგმას დაამტკიცებენ და შეხვედრის შემაჯამებელ ოქმს მიიღებენ.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ფორმატს 2012 წლის 8 ივნისს ტრაბზონში ჩაეყარა საფუძველი, სადაც მიღებული იყო ტრაბზონის დეკლარაცია. საქართველოს შემდეგ, სავარაუდოდ, წელსვე იმავე ფორმატის შეხვედრა აზერბაიჯანში გაიმართება.

საგარეო უწყების წარმომადგენელი ასევე გამოეხმაურა რეგიონული ენის სტატუსის საკითხს.

საქართველო შესაძლოა, პორტუგალიურენოვანი ქვეყნების თანამეგობრობაში დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანდეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა, 1 აპრილს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე პორტუგალიას ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრი პორტუგალიის სახელმწიფო მდივანს კარლოს მოედას და სახელმწიფო და საგარეო საქმეთა მინისტრს პოლო პორტაშს, ასევე ეროვნული ასამბლეის საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრებს შეხვდება.

ჯალაღანიას ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე განხილული იქნება ორმხრივი თანამშრომლობის ფართო სპექტრი, ასევე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

მიხეილ სააკაშვილი: „სომხების ინტეგრაცია საქართველოში ენის მეშვეობით უნდა მოვახდინოთ და არა რაღაც ქარტიებით“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ეთნიკურად სომხების საქართველოში ინტეგრაცია ქართული ენის დამკვიდრებით უნდა მოხდეს. ამის შესახებ სააკაშვილმა ახალქალაქში, მესამე საჯარო სკოლაში სტუმრობის შემდეგ განაცხადა.

„ჩვენ ახალქალაქში ავაშენეთ უახლესი სკოლა. ჩვენ ახლა ერთი მხრივ ვაკეთებთ იმას, რომ სომხურ ოჯახებში ცხოვრობენ ქართულის მასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ქართული შემოვიდეს აქ, როგორც სახელმწიფო ენა; რომ ამ უმაგრეს სკოლაში იყვნენ ქართველი და ეთნიკურად სომეხი ბავშვებიც, რადგან ორივე ქართველია ჩემთვის. ჩვენი პასუხი ენის საკითხებზე არის მარტივი. საქართველოში წარმატებას უნდა მიაღწიონ ქართული ენით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე კულტურის დაკნინება ხდება. აქაც, ახალქალაქში, სომხურსაც პრობლემები აქვს, საბჭოთა კავშირის დროს აქ გარუსების პროცესი მიდიოდა. ამიტომ ჩვენ ამ ხალხის ინტეგრაცია საქართველოში ენის მეშვეობით უნდა მოვახდინოთ და არა რაღაც ქარტიებით. ეს უნდა მოხდეს ქართული ენის დამკვიდრებით, უნივერსიტეტებში მათი სწავლით, იმ რკინიგზით, რომელსაც ახლა ვნახავთ. აი, ეს არის ჩვენი პასუხი და არა პოლიტიკოსების ენის ტრიალი და რაღაც საშიში ინიციატივები პარლამენტში“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მედიანიუსი

გიგი უგულავამ მოსახლეობისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის შესახებ ინფორმაცია მოისმინა

გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ დედაქალაქის მთავრობის სხდომა ჩაატარა, სადაც მთავრობის წევრებისგან თბილისში სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

ოფიციალური ინფორმაციით, გიგი უგულავამ რაიონის გამგებლებს სწრაფი და ეფექტური რეაგირებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. თბილისის მერიის სამსახურები 24 საათის განმავლობაში, საგანგებო რეჟიმში მუშაობენ იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც ქარმა დედაქალაქს შეუქმნა.

მედიანიუსი

აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის აღდგენის საკითხზე სხდომა დღეს გაიმართება

აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დღეს გაიმართება.

საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა საავტორიზაციო განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 19 მარტს წარადგინა.

აგრარული უნივერსიტეტისა და ავტორიზაციის საბჭოს ექსპერტებმა ერთად იმუშავეს უნივერსიტეტის წესდებაში არსებულ იმ მუხლზე, რომლის შეცვლასაც ავტორიზაციის საბჭო ითხოვდა და რომელიც კანონთან შეუსაბამობაში მოდიოდა.

აგრარული უნივერსიტეტი საბჭოს 12 მარტის გადაწყვეტილებას აპროტესტებს და მის ბათილად ცნობას ითხოვს.

მედიანიუსი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო პრეზიდენტს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართავს და მას არასწორი ინფორმაციის გავრცელებასა ადანაშაულებს. წერილს „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ბატონო პრეზიდენტო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უკიდურესად გაკვირვებულია თქვენს მიერ მიმდინარე წლის 23 მარტს ტელესტუდია „იმედის“ ღია ეთერში გაკეთებული განცხადებით – თითქოსდა, რიყეზე განლაგებულ რესტორნებს შორის ერთ-ერთი ეკუთვნოდა მაშინდელი აფხაზეთის „ეგრეთ წოდებულ“ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არც მაშინდელ და არც ახლანდელ აფხაზეთის ასრ ლეგიტიმურ სტრუქტურებს არასოდეს ჰქონიათ რიყეზე არავითარი რესტორანი. ერთადერთი, რაც ჩვენ რიყესთან გვაკავშირებდა, თბილისის მერიის მიერ მონიშნული ტერიტორია იყო, სადაც „თბილისობის“ დღეებში ჩვენ წარმოვადგენდით აფხაზეთის კუთხეს. ამ ტერიტორიაზე მუშაობდა აფხაზური ფაცხა, სადაც დევნილები იყვნენ დასაქმებული. ვის და რას დავაბრალოთ თქვენს მიერ აფხაზეთის მთავრობის „ეგრეთ წოდებულად“ მოხსენიება?

სამწუხაროა, მაგრამ ამ გამონათქვამს, ნებსით თუ უნებლიედ, აფხაზეთის საზოგადოება უკავშირებს თქვენს დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმტკივნეულესი აფხაზეთის პრობლემისადმი, ამ ცხრა წლის მანძილზე აფხაზეთის დევნილ დეპუტაციასთან მხოლოდ ერთხელ შეხვედრის (ისიც ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით) და საქართველოს პარლამენტიდან აფხაზეთში არჩეული დეპუტატების გამოყვანის პოლიტიკურ ქვედინებებს.

და მაინც გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს იყო ტექსტობრივი შეცდომა, რასთანაც დაკავშირებით ვიმედოვნებთ, რომ თქვენ, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამის განმარტებებს გააკეთებთ არა მარტო აფხაზეთის საზოგადოების, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობის წინაშე.

ხოლო იმას თუ რამდენად იმსახურებს თქვენს ეპითეტს „ეგრეთ წოდებულს“ აფხაზეთის დევნილი საზოგადოება და მისი დევნილი ხელისუფლება, დრო და ისტორია მიუჩენს თავის ადგილს სამართლიან საქართველოში“ – ნათქვამია ღია წერილში.

ნიუსპრესი

გასულ წელთან შედარებით საპატიმროებში 13 431 პატიმრით ნაკლებია

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 24 მარტის მდგომარეობით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სულ 10 536 ბრალდებული და მსჯავრდებული იყო განთავსებული, რაც 2012 წლის 24 მარტის მაჩვენებელთან (23 967) შედარებით 13 431 (56.0%-ით) ერთეულით ნაკლებია.

მიმდინარე წლის 22, 23, 24 მარტს კი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან 9 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა.

მთლიანად კი, 2013 წლის 24 მარტის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, სულ 8 409 ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 – პოლიტპატიმარია, 376 – მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 21 არასრულწლოვანი.

ნიუსპრესი

ხელისუფლებამ ბავშვთა საყოველთაო შეღავათი უნდა შემოიღოს

მერი ნამორაძე

სიღარიბის დაძლევა ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. ახალი ხელისუფლებისათვის ალბათ ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ რომ სიღარიბის დაძლევის ეფექტური მექანიზმების ამოქმედება იქნება. რას მოიმოქმედებს სახელმწიფო საიმისოდ, რომ ბავშვის შიმშილით გარდაცვალების ფაქტი არ განმეორდეს, ალბათ, მალე გახდება ცნობილი. რამდენიმე თვის წინ „ახალი თაობის“ მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რა მიზეზებით იღუპებოდნენ საქართველოში ბავშვები, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს გაუჭირდა. ამ საკითხების შესასწავლად სოციალური დაცვის სამინისტროში დედათა და ბავშვთა სიკვდილობის შემსწავლელი საბჭო შეიქმნა და იმედია, უახლოეს მომავალში საბჭოს მუშაობის შედეგები გამომზეურდება.

გაეროს ბავშვთა ფონდი, რომელიც საქართველოში ფართომასშტაბიან კვლევებს ატარებდა ბავშვთა მდგომარეობის შესასწავლად და შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდაციასაც აძლევდა ხელისუფლებას, 2008 წლიდან მოყოლებული, მიუთითებდა, რომ საქართველოში ბავშვების 12 % უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. ეს ნიშნავდა, რომ დღის განმავლობაში თითოეული მათგანი მხოლოდ 2 ლარს მოიხმარდა.

დღესაც გაეროს ბავშვთა ფონდში აცხადებენ, რომ საქართველოში თითქმის 77 000 ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, ანუ მოიხმარს დღეში დაახლოებით ორ ლარს. სოციალური დაცვის არსებული მექანიზმები კი სათანადოდ ვერ მოიცავს ბავშვებს. ერთი წლის გოგიტა აბაშიძის შიმშილით გარდაცვალების ფაქტი დასტურია იმისა, რომ სოციალური დაცვის სისტემა არ არის ეფექტიანი სოციალურად დაუცველი ბავშვების დასახმარებლად.

საქართველოს ეროვნული ნუტრიციული კვლევის (2009 წ.) თანახმად, ნახევარი მილიონი საქართველოს მოქალაქე, უმეტესად ქალი და ბავშვი, განიცდის კვების დეფიციტს რაიმე ფორმით და, შესაბამისად, ვერ მოახდენს საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებას. საქართველოში ყოველწლიურად ხუთ წლამდე ასაკის თითქმის 300-მდე ბავშვი იღუპება ორსულთა ანემიის, დაბადებისას მცირეწონიანობის, ფოლიუმის მჟავის ნაკლებობასთან ასოცირებული თანდაყოლილი ანომალიების და არასრულფასოვანი ძუძუთი კვების გამო. კვლევის თანახმად, ბავშვების ცამეტი პროცენტი არასოდეს უკვებიათ ძუძუთი. ექვს თვემდე ასაკის ბავშვების მხოლოდ დაახლოებით ნახევარი იკვებება ექსკლუზიურად ძუძუთი. საშუალოდ, ბავშვებს ძუძუთი კვება 9-10 თვის ასაკში უწყდებათ. ძუძუთი კვება 12-14 და 20-23 თვემდე ასაკის ბავშვებში ძალიან იშვიათად გვხვდება. ძუძუთი კვებისა და დამატებითი საკვების სათანადო კომბინაციას ადგილი აქვს 24 თვემდე ასაკის ბავშვების მხოლოდ დაახლოებით ერთმესამედ შემთხვევაში.

ეროვნული ნუტრიციული კვლევის თანახმად, საქართველოში ანემია ჯანმრთელობის გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში (23%), 15-49 წლის არაფეხმძიმე ქალებში (24%) და ფეხმძიმე ქალებში (27%). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ანემიის გავრცელების მაჩვენებელი მცირეწლოვან ბავშვებსა და ქალებში, ზოგადად უფრო დაბალია, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ანემია ყველაზე გავრცელებულია აზერბაიჯანული ეროვნების ბავშვებში (36%) და ქალებში (არაფეხმძიმე 31%, ფეხმძიმე 39%). ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში და 15-49 წლის ასაკის არაფეხმძიმე ქალებში რკინის ნაკლებობა იშვიათია და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ანემიის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის ამ ქვეჯგუფებში. ფოლიუმის მჟავის ნაკლებობა 15-49 წლის ასაკის არაფეხმძიმე ქალებში საკმაოდ მაღალია (37%) სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც ჩატარდა კვლევები ფოლიუმის მჟავის ნაკლებობის შესასწავლად. ამჟამად საქართველოში პურის ფორტიფიცირება არ ხდება რკინით ან ისეთი მიკროელემენტებით, როგორიცაა ფოლიუმის მჟავა.

გაეროს ბავშვთა ფონდში სისტემის კიდევ ერთ ხარვეზად მიიჩნევენ დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის არსებითი მომსახურებების ფრაგმენტაციას. არ ხდება სამშობიარო კლინიკიდან გაწერილი ახალშობილის დროული მიმართვა ამბულატორიაში და შესაბამისი მომსახურებების მიმწოდებლები არ იღებენ პასუხისმგებლობას, გააკონტროლონ ჩვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინფორმაცია მიაწოდონ მშობლებს ბავშვის მოვლის სათანადო პრაქტიკის, მათ შორის, სრულფასოვანი კვების შესახებ. ჯანდაცვის სისტემის ამგვარი ხარვეზები არ აძლევს სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს საშუალებას, ისარგებლონ უწყვეტი მომსახურებებით და მიიღონ საჭირო დახმარება სიცოცხლის განმავლობაში.

გაეროს ბავშვთა ფონდი მოუწოდებს მთავრობას, შემოიღოს ბავშვთა საყოველთაო შეღავათი ყველაზე დაუცველი ბავშვების და მათი ოჯახების დასახმარებლად. აუცილებელია დედათა, ახალშობილთა და ბავშვთა ჯანდაცვის უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფა ბავშვის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება სწორი კვების შესახებ, ძუძუთი კვების პოპულარიზაცია, ორსულებისა და ახალგაზრდა დედების დახმარება დაკონსულტირება, ქვეყნის მასშტაბით ფქვილის ფორტიფიკაცია და დედების და ბავშვების ვიტამინებითა და მიკროელემენტებით უზრუნველყოფა. აღნიშნული ინტერვენციები 25 პროცენტით შეამცირებს 10 წლის მანძილზე კვების დეფიციტთან დაკავშირებულ 1,3 მილიარდი აშშ დოლარის ზარალს საქართველოში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითქმის 1000 ბავშვს შეუნარჩუნდება სიცოცხლე ამავე პერიოდის განმავლობაში.

ალასანია დაშავებულ და დაჭრილ სამხედროებს შეხვდა

გუშინ, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ავღანეთში, აისაფის მისიის დროს დაშავებულ და დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა. სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრას საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლ...ი ძნელაძე და მისი მოადგილეები– პოლკოვნიკები ლაშა ბერიძე და ვლადიმერ ჩაჩიბაია, ასევე, არმიის სერჟანტი აღუდა კოპალიანი დაესწრნენ. შეხვედრაზე, ირაკლი ალასანიამ სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა. თავდაცვის მინისტრმა ჯარისკაცებს საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეში საკუთარი ჯანმრთელობის ფასად შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი კვლავ აგრძელებენ საქართველოს სამსახურში ვაჟკაცურად დგომას. როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ინტეგრირების პროცესი შეიარაღებულ ძალებში კიდევ უფრო გააქტიურდება– „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ განცდა, რომ არიან ჯარის, ჩვენი საერთო ოჯახის განუყოფელი ნაწილი. დღეს საუბარი გვაქვს უკვე ინდივიდუალურად ჩვენს მეომრებთან, თუ როგორ დასაქმდებიან ისინი თავდაცვის სამინისტროში. ყველა მათგანი საბრძოლო ამოცანას ვეღარ შეასრულებს, რადგან მათ ჯანმრთელობა შესწირეს ქვეყნის უსაფრთხოებას. თუმცა აუცილებლად მოინახება მათთვის ადგილი სხვა დანიშნულებით, რაც თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს ჯარისკაცებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი ოჯახის წევრებსაც ანალოგიური განცდა ჰქონდეთ. ამის გამო ჩვენ ოჯახის პროგრამასაც ვადგენთ. საჯაროდაც იქნება ცნობილი, თუ როგორ ჩავრთავთ ჩვენი მეომრების და განსაკუთრებულად ჩვენი ვეტერანების ოჯახებს ამ პროცესში. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ სამხედრო მოსამსახურეები იქნებიან ჩართული ყველა პროცესში და მათ შორის, საკუთარი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ ქართულ ჯარში. თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკა სწორედ ასეთია.“ შეხვედრაზე სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემაც მიმართა. მან მადლობა გადაუხადა აისაფ-ის მისიის დროს დაშავებულ ჯარისკაცებს და აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მათ მიერ ავღანეთში მიღებული საბრძოლო გამოცდილებაა. შეხვედრის დასრულების შემდეგ სამშვიდობო მისიისას დაჭრილი სამხედროებისთვის მინისტრის სახელით საზეიმო ვახშამი გაიმართა.

მედიანიუსი

სტიქიამ სკოლის შენობებს სახურავი გადახადა

მერი ნამორაძე

ცუდი ამინდები საქართველოს ტერიტორიაზე თვის ბოლომდე შენარჩუნდება. კაცი იფიქრებს, თვის ბოლოა უკვე და რას გვერჩიან ეს სინოპტიკოსებიო, მაგრამ სინოპტოკოსებმა რა ქნან, როცა ბუნება გვერჩის და პრობლემებს უქმნის უბრალო მოკვდავებსა და ქვეყნის ბიუჯეტს თანაბრად.

დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში, ელექტროენერგიის ძაბვის გახშირებული ვარდნისა და რამდენჯერმე შეწყვეტის გამო, კომპანია „ჯორჯიენ უოთერ ფაუერის“ რიგი სათავო ნაგებობების, ცენტრალური სატუმბო სადგურებისა და ადგილობრივი წნევის გამაძლიერებელი სატუმბო სადგურების ფუნქციონირებას არაგვის ხეობასა და თბილისში პრობლემები შეექმნა. ამის გამო თბილისში ათეულობით ქუჩას გუშინ წყალი შეზღუდვით მიეწოდებოდა.

ელექტრომომარაგების გარეშე იყო დარჩენილი გუშინ 50 ათასი აბონენტი, ძირითადად, მცხეთა-მთიანეთში, შიდა და ქვემო ქართლში. ადგილზე შესაბამისი სამსახურები იყვნენ მობილიზებულნი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. „ენერგო პრო ჯორჯია“ აბონენტებს ელექტრომომარაგების აღდგენას დღის მეორე ნახევარში ჰპირდებოდა.

სტიქიის გამო თბილისში საგანგებო სიტუაციების სამსახურის გამოძახების 137, რეგიონებში კი 120 შემთხვევა დაფიქსირდა. „112“-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტი, სრულ მზადყოფნაშია განსაკუთრებულ რეჟიმში კვლავ იმუშაოს, რათა „112“-ის სადისპეტჩერომ ოპერატიულად მიიღოს ზარები და საქართველოს მოსახლეობისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით ზარების დროული დისპეტჩერიზაცია განახორციელოს. „112“-ის ცნობით, ზარის ინიციატორებისაგან ფიქსირდება გამოძახებები ქარისგან გადახდილ სახურავებთან დაკავშირებით, ასევე ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების, ხის წაქცევის, სარეკლამო ბილბორდის წაქცევის თუ მოსალოდნელი სხვადასხვა ტიპის საშიშროებების შესახებ. ძლიერი ქარისგან ჯანმრთელობის დაზიანება დაფიქსირდა სამ შემთხვევაში – გორში ავტომანქანას დაეცა ხე, რომელშიმჯდომმა პიროვნებამაც მიიღო ფიზიკური დაზიანება, თბილისში ქარმა წააქცია ასაკოვანი ქალბატონი, მიღებული აქვს ფეხის ტრავმა, თბილისში პიროვნებას სხეულზე, წელის არეში ხიდან მოტეხილი ტოტი დაეცა. საბედნიეროდ არც ერთ შემთხვევაში მსხვერპლი არ არის. სიტუაცია საგანგაშო რჩება აჭარაში, სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე.

საქართველოს მასშტაბით სტიქიამ 20 საჯარო სკოლა დააზიანა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სკოლების დიდ ნაწილს ქარმა სახურავი მთლიანად ან ნაწილობრივ გადახადა, ჩამსხვრეულია მინები. სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლაში დღეს დილიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი იმყოფებოდა, რომელიც ქარის შედეგად მიყენებულ ზარალს ადგილზე გაეცნო. მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა სრულ მზადყოფნაშია, რათა სწრაფად აღმოიფხვრას სტიქიის შედეგები და აღდგენითი სამუშაოები დაიწყოს. სკოლების ყველაზე მეტი რაოდენობა ოზურგეთში დაზიანდა – 9 საჯარო სკოლა. სკოლები დაზიანდა რუსთავში, კასპში, გორში, თბილისში, ქობულეთსა და შუახევში.

„ჩვენი მწერლობის“ დარბაზში იკა ქადაგიძის წიგნის — „ქართული კორიდა“ — განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში იკა ქადაგიძის ახალი წიგნის — „ქართული კორიდა“ – განხილვა გაიმართა.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ ახალი, გაზაფხულის სეზონი სწორედ ამ ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებულის წარდგინებით გახსნა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, პოეტს, პროზაიკოსსა და პუბლიცისტ იკა ქადაგიძეს ყველა კარგად იცნობს. არის ექვსი წიგნის ავტორი. მისი თქმით, მწერალი ვალდებულია წეროს პუბლიცისტური წერილები. ასე იყო ევროპაში და ასე იყო მე-19 საუკუნის საქართველოში. აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას მეტი პუბლიცისტური წერილი აქვთ დაწერილი, ვიდრე ლექსები და მოთხრობები.

„ძალიან სასიხარულოა, რომ იკა ქადაგიძე წერს წერილებს და ჩვენი მწვავე, ქაოტური რეალობით არის დაინტერესებული. მისი წერილები დოკუმენტურ პროზად იკითხება. სამწუხაროდ, მწერლები პირუთვნელ შეფასებას გაურბიან ხოლმე. იკა ქადაგიძე კი ყოველთვის სიმართლისაკენ ისწრაფის. ის, რასაც იგი წერს, არის გულწრფელი, დაუშიშინებელი“, -— აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

მომხსენებელმა ნათია მეგრელიშვილმა წიგნზე საუბრისას ყურადღება, უპირველესად, იმაზე გაამახვილა, რომ სუსტი მხედველობის გამო წვრილი შრიფტით დაბეჭდილმა წიგნმა ძალიან შეაშფოთა, მაგრამ მისმა კითხვამ იმდენად ჩაითრია, რომ ის მეორე დღესვე დასრულებული ჰქონდა. მისი თქმით, მისთვის ძალიან სასიამოვნოა იმ ჟანრზე საუბარი, რომელიც მას ძალიან უყვარს.

„ეს არ არის მხატვრული პუბლიცისტიკა და რომანტიკული წიგნი, რომელმაც შეიძლება მოგასვენოს ან დაგასვენოს. პირიქით, ის განერვიულებს, გაშფოთებს, მწვავე რეაქციებს იწვევს, რადგან მისი ბევრი მთავარი გმირი ჩვენი თანამედროვეა. თითოეული სერიოზული ბიოგრაფიის მატარებელია. მწერლის არჩევანი ძალიან მრავალფეროვანია. აქ ყველანაირ ადამიანს შეხვდებით, ვინც ცხოვრება იცის ან იცოდა, რა არის“, -— აღნიშნა ნათია მეგრელიშვილმა.

ნათია მეგრელიშვილის შეფასებით, წიგნის ავტორი ისტორიის სამარცხვინო ნაწილზე არასდროს ხუჭავს თვალს და ისტორიულ გამოცდილებას არ გაურბის. მეგრელიშვილის მოსაზრებით, ის არ არის რბილი, მატყუარა, მლიქვნელი მწერალი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამასთან, მისი სიმართლე მკითხველამდე დელიკატურად, კორექტულად და ინტელიგენტურად მიდის.

მომხსენებელი მიიჩნევს, რომ შეუფერადებელი სიმართლისა და სიმწვავის გამო იკა ქადაგიძის წიგნს არაერთი ოპონენტი გამოუჩნდება.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები, მეცნიერები: ზოია ცხადაია, რუსუდან ჭანტურიშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე, თამარ ყალიჩავა, ჯემალ ქირია, აკაკი ბრეგვაძე, ციალა არდაშელია, სერგო ლომაძე, ჯუბა ღებელი, თემურ ცერცვაძე, თენგიზ ავსაჯანიშვილი, ირაკლი ავალიშვილი და ზურაბ თორია.

მედიანიუსი

პოლიცია ადამიანის უფლებებს „ნაციონალური მოძრაობის“ დროს უფრო მეტად არღვევდა, ვიდრე „მოქკავშირის“ დროს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 18 მარტიდან 25 მარტამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პოლიცია, ადამიანის უფლებებს ყველაზე მეტად, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს არღვევდა.

კითხვაზე – „თქვენი აზრით, რომელი ხელისუფლების დროს არღვევდა ყველაზე მეტად პოლიცია ადამიანის უფლებებს,“ გამოკითხულთა 68,8 პროცენტმა უპასუხა, რომ მსგავს ფაქტებს ყველაზე მეტად „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი, 15,6 პროცენტის აზრით კი, ძალოვანთა მიერ ადამიანის უფლებები ყველაზე ხშირად „მოქალაქეთა კავშირის“ დროს ირღვეოდა.

გამოკითხვაში მონაწილეთა 3,1 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით ყველაზე მეტი ფაქტები ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ხდება, 12,5 პროცენტს კი დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ნიუსპრესი

ბაგრატის ტაძრის არქიტექტორები პრეზიდენტმაც დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

იტალიაში ფერარას უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან თანაარსებულ რესტავრაციისა და კონსერვაციის კონკურსზე მიღებული ოქროს მედლის შემდეგ, ბაგრატის ტაძრის არქიტექტორები საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც დააჯილდოვა.

ანდრეა ბრუნოსთან ერთად მიხეილ სააკაშვილმა ივანე გრემელაშვილის ოჯახიც დააჯილდოვა და ორივე არქიტექტორს ბრწყინვალების ორდენები გადაეცა. ანდრეა ბრუნო გასულ კვირას იტალიაში პალაცო ტასონიში დააჯილდოვეს.

– მინდა დიდი მადლობა ვუთხრა კულტურის და ძეგლთა დაცვის მაშინდელ მინისტრს, ძეგლთა დაცვის მაშინდელ ხელმძღვანელს, მათ ბევრი ბრძოლა მოუხდათ ამის გასაკეთებლად და მადლობა თითოეულ არქიტექტორს, თითოეულ მშენებელს, რომლებიც ამ ტაძარს დღე და ღამე ენთუზიაზმით აშენებდნენ, გული უსკდებოდათ, რომ ხელი არ შეეშალა არავის, მართლა გულის ნაწილები ჩადო თითოეულმა მათგანმა და გულის ნაწილებისგან შედგება ეს ტაძარი პირველ რიგში და არა უბრალოდ კრამიტისგან, აგურებისგან თუ სხვა თანამედროვე მასალებისგან, რომელიც ამ ტაძრის აღდგენაშია გამოყენებული. პირადად აღფრთოვანებული ვარ და დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს. მინდა მივესალმო იტალიის საელჩოს წარმომადგენლებს, ძეგლთა დაცვის ახალ ხელმძღვანელს, ბატონ მერაბს. ვიცით, რომ წინა დღეებში ფერარაში იყო დაჯილდოების ცერემონია, ჩვენ მხოლოდ ამის გაგრძელებას ვახდენთ, ამიტომ მინდა პირველ რიგში გადავცე ბრწყინვალების ორდენი ქალბატონ ნელის, ივანე გრემელაშვილის მეუღლეს, სამწუხაროდ, ბატონი ვანო ვერ მოესწრო ამას, მაგრამ მის ბრწყინვალე ოჯახს გადავცე ეს ორდენი და რა თქმა უნდა, ანდრია ბრუნოს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ბაგრატის ტაძრის პროექტმა საერთაშორისო არქიტექტორული პრემიის „დომუსის“ ოქროს მედალი მოიპოვა. სიძველეებისა და თანამედროვე ხედვის ჰარმონიული შერწმის ნომინაციაში პროექტის იტალიელ ავტორს ანდრია ბრუნოს ჯილდო საზეიმო ვითარებაში გადაეცა. წელს ეს პრემია ორ ქალაქს – ქუთაისსა და ვენეციას ერგო.

– ჟიურის შეფასებით XI საუკუნის ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლზე ბაგრატის ტაძარზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები არის ახლისა და ძველის შეთანხმების რთული ამოცანის მაგალითი, რომელიც არქიტექტორმა ანდრია ბრუნომ ორიგინალური გადაწყვეტილებით გადაჭრა. მისმა ნამუშევარმა გააგრძელა ძველი რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც მანამდე განხორციელდა, თუმცა მეთოდოლოგიური მიდგომა ამჯერად სრულიად სხვანაირი იყო, – აღნიშნულია დასკვნაში.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ყოფილი უფროსი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი აღნიშნავს, ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ „ეს ის პროექტია, რომელიც ქართულ სარესტავრაციო სკოლას მოწინავეთა რიგებში დააყენებს“. მან ისიც აღიარა, რომ არ სურდა დანგრეული ბაგრატის ტაძრისთვის ეყურებინა და აღდგენილი ტაძარი მისთვის ყოველთვის საამაყო იქნება. მისი თქმით, ეს მხოლოდ პირველი გამარჯვებაა და ბაგრატის რეკონსტრუქციის პროექტის საერთაშორისო აღიარება მომავალშიც გაგრძელდება.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ქალაქ ფერარაში გაიმართა. როგორც ერთ-ერთმა იტალიურმა ვებ გვერდმა აღნიშნა, ქალაქ ფერარაში მესამე საერთაშორისო კონკურსი უკვე დასრულდა, რომელიც სააქციო საზოგადოება ფასსა ბორტის მხარდაჭერით ფერარას უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მიერ იყო ორგანიზებული. კონკურსის ფარგლებში იმ პროექტებს აჯილდოებენ, რომლებიც სარესტავრაციო სამუშაოებს უკავშირდებიან.

– ამ პროექტში არქიტექტორმა გადაწყვიტა „ახლისა“ და „ძველის“ შერწყმა ისე, რომ შესაძლებელი გახდა ტაძრის ორიგინალური სახის შენარჩუნება. აღნიშნული პროექტი უკვე დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოების გაგრძელებაა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა აღდგენითი სამუშაოების მეთოდოლოგია. ტაძრის ორიგინალურ სახეს ფონად გასდევს თანამედროვე და ხაზგასმულად განსხვავებული მასალა, რაც ტაძრის პირველწყაროს ინარჩუნებს და სრულად აღადგენს მის მოცულობას, – ნათქვამია დასკვნაში.

საქართველოში ამ ტაძარზე მიმდინარე სამუშაოებს დიდი ხმაური მოყვა, საზოგადოების ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდა ყველანაირი სამუშაოების შეჩერებას, მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ ყველაფერი ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა. კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურამ ბაგრატის ტაძარს სპეციალური ღია დისკუსიაც მიუძღვნა, სადაც ყველა მხარე ერთად შეიკრიბა, არქიტექტორმა ანდრეა ბრუნომ კი დაასაბუთა ყველა ის საკითხი, რომელიც ეჭვს იწვევდა. თუმცა დღესაც არიან ადამიანები, რომლებსაც ბაგრატის ტაძარი აღდგენამდე უფრო მოწონდა.

ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პროექტს თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა იუნესკო. იუნესკოს სტანდარტების დარღვევით რესტავრირებულმა ტაძარმა და მასთან ერთად გელათის სამონასტრო კომპლექსმა, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი დაკარგა.

მიხეილ სააკაშვილმა დაჯილდოების ცერემონიალი პრეზიდენტის სასახლეში მოაწყო, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

– ბაგრატის ტაძრის აღდგენა რამდენიმე ათეულწლიანი სამუშაოა იყო და მრავალი ხნის ოცნებაც ქართველი არქიტექტორების, მშენებლების, რესტავრატორების და კულტურის სპეციალისტების. ამ ტაძარს ყველა დამპყრობელმა გაკრა თითო ხიშტი, არავის არ დაუკლია ხელი. ბოლო საბჭოთა წლებში დაიწყო ამ ტაძრის აღდგენაზე ლაპარაკი და ვანო გრემელაშვილის გუნდმა საოცრად დიდი სამუშაო გასწია იმ პირობებში, როდესაც ნახევრად ლეგალური იყო ეს თემა. ამ პირობებში მათ მოახერხეს უზარმაზარი სამუშაოს გაწევა, ძეგლის პარამეტრების დადგენა, რასაც შემდგომი სამუშაოები დაეფუძნა. მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველი სამუშაოები სერიოზულად ჩატარდა. ბაგრატის ტაძრის აღდგენა მაგალითია იმისა, რას ნიშნავს, ხანდახან სრულიად უაზროდ გარევა პოლიტიკისა იმაში, რაც არის საერთო ეროვნული და კულტურული საკითხები. ჩვენ ზოგადად, კლიშეების დამკვიდრება გვიყვარს, ვიღაცამ ყური მოკრა, რომ აღდგენილ ბაგრატის ტაძარში იქნება ლიფტი და დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ლიფტი არ არის, მაინც ამბობენ, ბაგრატის ტაძარში ლიფტიაო. ბაგრატი – ლიფტი, ბაგრატი – ლიფტი, ე.ი. ესენი არიან ბარბაროსები. ამ პრიმიტიულმა კრიტიკამ კი ძალიან ბევრი რამ გააფუჭა. ბევრი რამ გააფუჭა სტერეოტიპებმაც. ტაძრის გუმბათი – მწვანე სახურავი გაუკეთეს ამ საზიზღრებმაო, რომ ამბობენ, ბაგრატს მწვანე გუმბათი ჰქონდა და ეს აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების დროს, ისევე როგორც ამ ფერის გუმბათი ჰქონდა ძალიან ბევრ ტაძარს საქართველოში ისტორიულად როდესაც აშენდა და დღესაც რამდენიმეს შემორჩა. გვიან XIX და XX საუკუნეებში, ისევე როგორც რუსეთმა გადაღება ჩვენი ფრესკები, მუქი და ჩაჟამებული გუმბათები გაუკეთეს ჩვენს ტაძრებს და დღეს გვიმტკიცებენ, სრულიად უსაფუძვლოდ, რომ ეს არის ძველი ტაძრები. ძველი არა, ეს არის საბჭოთა კავშირის მიერ თავს მოხვეული ახალი ფორმები, რომლებიც ასევე ჩვენი ისტორის ნაწილი გახდა. თუ ვილაპარაკებთ სიძველეზე, იყო ზუსტად მწვანე ფერი და ესეც მშვენივრად იციან არქიტექტორებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა, ვინც ამაზე მუშაობდა. ასეთი კლიშეებით, ცრუ სტერეოტიპებით და მოგონილი ან მცდარი წარმოდგენებით ხდებოდა და დღესაც, სამწუხაროდ, ხდება აღმშენებლობის იდეასთან ბრძოლა. ჩვენმა დამპყრობელმა ჩაგვინერგა, რომ ქართველ ხალხს თვითონ არ უნდა ჰქონდეს არც აღმშენებლობის სურვილი, არც ნიჭი, არც მონდომება და არც უნარი. სწორედ ისეთი ხალხი, როგორიც ვანო გრემელაშვილი და ბევრი არქიქეტორ-მშენებელია, საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ სტერეოტიპს ანგრევდა და ამიტომ იყვნენ ისინი უფრო საშიშები ჩვენი დამყპრობლებისთვის. თუკი საფრთხე არის საქართველოს უკან დაბრუნების, ამ საფთხის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია, მშენებლობის შეჩერება და უკვე აშენებულის დანგრევაზე საუბარიც კი. ეს არის ფილოსოფია, რომელსაც თავს გვახვევენ, რომ ჩვენ დამოუკიდებლები ვერ ვიქნებით, იმიტომ რომ ჩვენ თვითონ შექმნა და აღმშენებლობა არ შეგვიძლია. ბოლო 5-6 წელიწადში საქართველომ მთლიანად მოსპო და დაანგრია ეს სტერეოტიპი. კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ეს დიდი საერთაშორისო პრემია და დაფასება. ვფიქრობ, ბაგრატი დარჩება მომავალ თაობებს, ასევე დარჩება არა მარტო ჩვენი კულტურის და საკლესიო მემკვიდრეობის დიდ ნაწილად, არამედ ის დიდი ტურისტული პოტენციალის მატარებელია, რადგან ქუთაისში გაისხნა დიდი აეროპორტი და სულ უფრო მეტად ემატება რეისები. ხალხი ყოველთვის ივლის ქუთაისში, რომ ბაგრატი დაათვალიეროს, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

თბილისში დოკუმენტური ფილმების ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

2013 წლის მარტი-აპრილის თვეებში ჯაუჯადოჯ ჰოოქტის ფარგლებში ორგანიზებული იქნება დოკუმენტური ფილმების ფესტივალები საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის 14 სხვადასხვა ქალაქში. ჰოგოოს ჰოოქტის ჯუჰატორი შოჰენა ჯუჭუხიძე აღნიშნავს, თითოეული კინოფესტივალებზე წარმოდგენილი იქნება 30-დან 80 წუთამდე ხანგრძლივობის დაახლოებით 10 ფილმი. საფესტივალო ფილმები მრავალფეროვანი თემატიკისაა, მათ შორის ადამიანის უფლებებზე, კონფლიქტებზე, პოლიტიკის ხელმძღვანელებზე, მიგრაციაზე და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე.

– ფილმები გადაღებულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და თითოეული მათგანი წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ყოველწლიურ საერთაშორისო დოკუმენტურ კინოფესტივალზე „ერთი მსოფლიო“. ჩვენი მიზანი, არა მხოლოდ კარგი ფილმების ჩვენებაა რეგიონებში, რომლებიც სამწუხაროდ შედარებით მოწყვეტილნი არიან კულტურულ ცხოვრებას, არამედ გვსურს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დავაინტერესოთ და ჩავრთოთ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის პროცესში, იმდენად რამდენადაც რეგიონებში მოსახლეობა მოწყვეტილია ღიად და თავისუფლად მსჯელობის შესაძლებლობას, – აღნიშნავს კაუკადოკ პროექტის მენეჯერი შარკა ზაჰრადნიკოვა.

მისივე თქმით, ღონისძიებაზე დასწრება უფასოა. დოკუმენტური ფილმების ჩვენების შემდგომ დაგეგმილია დებატები და დისკუსია სტუმრების და ექსპერტების მონაწილეობით ფილმში დასმული საკითხების ირგვლივ. საქართველოში ფესტივალები დაიგეგმა შემდეგ ქალაქებში: ანაკლია (23-24 მარტი), გორი (26-27-28 მარტი), ბოლნისი (4-5 აპრილი), თერჯოლა (10-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ლელომ პირველობა არმიას დაუთმო

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული პირველობის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ლიდერი შეიცვალა. ამასთან, საკმაოდ მოულოდნელად. უკვე გარკვეულია 5 გუნდი, რომელიც პლეი ოფში ითამაშებს, ხოლო ბოლო საგზურისთვის ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა და მომავალმა ტურმა გარკვეული ინტრიგა კიდევ შეინარჩუნა.

საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიას“ დანაკლისით უმასპინძლა, თუმცა მისი განადგურება არ გასჭირვებია – 54:20. არმიელებს 3 სპორტსმენი შვიდკაცა ნაკრებში ჰყავთ მივლინებული და ეს დანაკლისიც ამიტომ იყო. ცხადია, გამარჯვებას პრემიალური ქულაც მოჰყვა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა..

ლიდერის, „ლელოსა“ და „ჯიქების“ მატჩი ოდნავ მოგვიანებით დაიწყო. „ლელომ“ იცოდა არმიელთა გამარჯვების შესახებ და პირველი ადგილის დასაბრუნებლად უპირობო მოგება სჭირდებოდა. თუმცა, მეტოქეს ვერაფერ გახდა და 10:16 დამარცხდა. ამ გამარჯვებამ „ჯიქები“ მეოთხე ადგილზე აანაცვლა, „ლელოს“ კი ლიდერობა დააკარგვინა.

მესამე ადგილი და პლეი ოფში მოედნის უპირატესობა დაიბევა ქუთაისის „აიამ“, რომელმაც დაძაბულ ბროლაში რუსთავის „ხარები“ დაამარცხა – 19:5. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 19:0 მოიგეს, მაგრამ მეორეში სტუმრები გამუდმებით უტევდნენ, თუმცა ერთი ლელოს მეტს ვერ გამორჩნენ.

„ხარებმა“ კი, პლეი ოფში მოხვედრის შანსი თეორიულადაც დაკარგა და ამასთან, „აკადემიას“ სუნთქვა ესმის, რის გამოც დასკვნით ტურებში გასავარდნი პლეი ოფისთვის თავის ასარიდებლად ბრძოლა კიდევ მოუწევს.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული თბილისურ დერბი გამოდგა, რომელშიც „არმაზი“ „ლოკომოტივს“ ეთამაშებოდა. არმაზელებს პლეი ოფში თამაში უკვე განაღდებული ჰქონდათ, ხოლო „ლოკომოტივს“ ბათუმელები მოსდევენ და გამარჯვება უფრო სჭირდებოდა და ეს მოახერხა კიდეც – 18:16.

„არმაზმა“ მხოლოდ 1 ქულა რომ აიღო, მე-4 პოზიცია „ჯიქებს“ დაუთმო, ხოლო „ლოკომოტივმა“ მდევართან საკმარისი ფორა შეინარჩუნა.

„ბათუმმა“, საკუთარ მოედანზე აუტსაიდერი, ბოლო ადგილისთვის განწირული „ყოჩები“ 46:7 რომ გაანადგურა, პრემიალური ქულაც ჩაიწერა, რითაც „ლოკომოტივთან“ ჩამორჩენა ხუთ ქულამდე დაიყვანა და დარჩენილ ორ ტურში პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა, მაგრამ კალენდრის გათვალისწინებით, მე-6 ადგილი სავარაუდოდ მაინც „ლოკომოტივს“ დარჩება.

სატუინიო ცხრილი:

1.არმია	16	14	0	2	431:248	65
2.ლელო	16	13	0	3	448:228	62
3.აია	16	11	2	3	418:230	54
4.ჯიქები	16	9	0	7	320:253	44
5.არმაზი	16	10	0	6	303:275	43
6.ლოკომოტივი	16	6	2	8	325:323	34
7.ბათუმი	16	6	0	10	314:348	29
8.ხარები	16	4	0	12	220:358	21
9.აკადემია	16	4	0	12	176:450	18
10.ყოჩები	16	1	0	15	223:465	7

სადისციპლინო კომიტეტს ახალი შემადგენლობა ჰყავს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტებს ახალი შემადგენლობა ჰყავთ, რომელიც გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ აღმასკომის სხდომაზე გაირკვა. ყოფილ წევრებს უფლება-მოსილების ვადა ამოწურათ და კომიტეტის ახალი შემადგენლობა აღმასკომმა 4 წლით დაამტკიცა.

სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარედ იურისტი ჯიმშერ ტყებუჩავა აირჩიეს. ეს უკანასკნელი აქამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არბიტრაჟის ხელმძღვანელი იყო, ხოლო თუ ვინ დაიკავებს მის ადგილს არბიტრაჟში, ჯერ უცნობია.

სადისციპლინო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ვეტერანი ფეხბურთელი სერგო კუტივაძე იქნება. კომიტეტში იმუშავებენ ვეტერანი ფეხბურთელი ვაჟა ჟვანია, ზვიად დარასელი და რეზო ტალიაშვილი.

აღმასკომის სხდომაზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საapელაციო კომიტეტის ახალი შემადგენლობაც დაამტკიცეს, რომელშიც შევიდნენ: თამარ წერეთელი, მონიკა რუხაძე, გიორგი ციხისთავი, დავით ქარსელაძე და ლაშა დვალიშვილი.

აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური ჩემპიონმა და პარლამენტის ყოფილმა წევრმა გიორგი ასანიძემ საკუთარი განცხადების საფუძველზე აღმასკომის შემადგენლობა დატოვა. მანამდე იგივე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ექსმინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა და სპორტის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა დავით ნამგალაურმა გააკეთეს. შედეგად, აღმასკომში 19-ის მაგივრად 16 წევრი დარჩა. ივნისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა გაიმართება, რომელზეც აღმასრულებელ კომიტეტში არსებულ ვაკანსიებს შეავსებენ.

წელს 35 წელი სრულდება, რაც თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მეორედ მოიგო. ამ თარიღთან დაკავშირებით, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა წერილით მიმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს, რათა იმ ფეხბურთელებს, ვინც 1978 წელს წარმატებას მიაღწიეს, საქართველოს უმაღლესი სპორტული ჯილდო „სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭოთ.

ფეხბურთელთა სია ასე გამოიყურება: მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, შოთა ხინჩაგაშვილი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით გოგია, ვახტანგ ქორიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, თამაზ კოსტავა, რევაზ ჩელებაძე, დავით მუჯირი, ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე.

შედეგები

ფეხბურთი

მრ-2014. შესახჩევი ეტაპი

აფრიკა

ტანზანია-მაროკო 3:1
ლესოტო-ზამბია 1:1
მოზამბიკი-გვინეა 0:0
ეთიოპია-ბოსტვანა 1:0
რუანდა-მალი 1:2
დრ კონგო-ლიბია 0:0
განა-სუდანი 4:0
ლიბერია-უგანდა 1:0
ეკ.გვინეა-კაბო ვერდე 4:3

ესპანეთი. მე-2 დივიზიონი

ხერესი-პონფერადინა 1:2
რეალი ბ-კორდობა 4:0
ალმერია-ხიხონი 0:1
ვილიარეალი-უელვა 1:1
საბადელი-ლას პალმასი 0:4
ელჩე-მურსია 1:0
ალკორკონი-ნუმანსია 1:1

იტალია. სერია ბ

სპეცია-პრო ვერჩელი 1:3
ბრესა-ჩიტადელა 2:2
ვერონა-კროტონე 3:2
ვიჩენცა-ვარეზე 1:1
ლივორნო-ლანჩანო 2:0
ნოვარა-ასკოლი 1:0
რეჯინა-იუვე სტაბია 2:1
სასუოლო-ტერნანა 0:0
ემპოლი-ბარი 0:1

ინგლისი. ჩემპიონი დივიზიონი

დროჰედა-ბრეი 2:1
კორკი-დერი 0:1
შელბურნი-შემროკი 0:0

აშშ. მლს

ჩიკაგო-ჩივასი 1:4

კალათბურთი

ნბა. ჩეგეულარული სეზონი

მაიამი-შარლოტი 109:77
მინესოტა-ჩიკაგო 97:104
ოკლაჰომა-პორტლენდი 103:83
ჰიუსტონი-სან ანტონიო 96:95
დალასი-იუტა 113:108
საკრამენტო-ფილადელფია .. 103:117
ფინიქსი-ბრუკლინი 100:102

ჩოგბურთი

ატპ. მაიამიჯოვიჩი-დევაჰმანი 6:2;6:4

მელცერი-კამკე 6:7;6:3;6:4
ბლეიკი-რამოსი 4:6;6:2;5:7

ვტა. მაიამი

ვინჩი-სუარეს ნავარო..... 5:7;6:4;6:4
ივანოვიჩი-კუზნეცოვა 6:3;6:3
ერანი-ჰალეპი 6:1;6:0

ჰოკეი

ნჰლ. ჩეგეულარული სეზონი

აილენდერსი-ფლორიდა 3:0
რეინჯერსი-ვაშინგტონი ..... 2:2(0:1ბ)
პიტსბურგი-ფილადელფია ... 2:1(ოტ)
ანაჰაიმი-დეტროიტი 1:2
ვინიპეგი-ტამპა ბეი 3:2
კალგარი-სენტ ლუისი 3:2
კოლორადო-ვანკუვერი 2:3

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

ბერძენ-რომაელთა 3 მედალი

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპირველობაზე პირველ დღეს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. საქართველოს ნაკრებს ერთადერთი მედალი მძიმეწონოსანმა გურამ ფერსელიძემ მოუტანა, ვინც ბრინჯაოს ფინალი ბელარუსის ნაკრების წევრს იოსებ ჩუგოშვილს 1:0, 2:1 მოუგო.

ჩუგოშვილთან მოგებამდე ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ჰეიკი ნაბი, ხორვატი მარკო კოშევიჩი და სლოვაკი დავიდ ლენგლი დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც თურქ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონთან და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორთან რიზა კაიალპთან წააგო. მძიმეწონოსანთა შეჯიბრების გამარჯვებული სწორედ კაიალპი გახდა.

55-კილოგრამში ლაშა გოგიტაძემ პირველი წრე გამოტოვა, მერვედფინალში კი თურქ უჩუნკუსთან 1:1, 1:1, 1:1 დამარცხდა, საწყის პერიოდი ბოლო ქულის პრინციპით გაიმარჯვა, თუმცა ანალოგიური მიზეზით მომდევო ორ პერიოდში დამარცხდა და იმის გამო, რომ მოდევნო დაპირისპირება თურქმა მოჭიდავემაც დათმო ვერც რეპეშაჟში ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა მოახერხა. უმსუბუქესი წონის გამარჯვებული კი ბელარუსი ელბეკ ტაზიევი გახდა, ვინც აზერბაიჯანელ ელჩინ ალიევს სამ სეტში მოუგო.

60-კილოგრამში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რევაზ ლაშხმა იჭიდავა და უმედლოდ დარჩა. პირველი მეტოქე სერბი კრისტიან ფრი 5:1, 4:1 დაამარცხა, მერე კი ხორვატ ტონიმირ სოკოლს აჯობა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც რუს ივან კუილაკოვთან 3:1, 0:1, 0:3 დამარცხდა და რუსის ფინალში გასვლის შემდეგ რეპეშაჟში გადაერთო.

ლაშხმა დამამშვიდებლის პირველივე შეხვედრა სლოვაკ იშტვან ლევაისთან 0:5, 0:3 წააგო და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა. აქ ჩემპიონი ბულგარელი ივო სერაფიმოვ ანგელოვი გახდა, ვინც სწორედ ლაშხის მძლეველ კუილაკოვს აჯობა.

96-კილოში სოსო ჯაბიძე უკრაინელ ვლოდიმირ ვასილიევს კი გასცდა, მაგრამ მერვედფინალში სომეხ ევროპის მოქმედ ჩემპიონთან არტურ ალექსანიანთან წააგო და მისი ფინალში გასვლის წყალობით რეპეშაჟის გათამაშებაში ჩაება. იქ ჯაბიძემ შვედი მეტოქე ჩამოიცილა, თუმცა თურქ ცენკ ილდემთან ვერაფერს გახდა და უმედლოდ დარჩა. წონის გამარჯვებული კი სომეხი არტურ ალექსანიანი გახდა, ვინც ბულგარელ მეტოდიევს დამაჯერებლად მოუგო.

მეორე დღეს უფრო ნაყოფიერი გამოდგა. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ვლადიმერ გეგეშიძე (84 კგ) და ზურაბ დათუნაშვილი (74 კგ) ვერცხლის პრიზიორები გახდნენ.

66-კილოში მანუჩარ ცხადაიამ იჭიდავა – პირველი შეხვედრა პოლონელ ტომაშ სვიერკთან გამართა და 1:0, 1:0 მოუგო. ცხადაია მეორე წრეში ხორვატ დომინიკ ეტლინგერს შეხვდა და 5:0, 0:1, 4:0 აჯობა. ქართველ ფალავანს ყველაზე რთული შეხვედრა მეოთხედფინალში ელოდა, სადაც რუს ადამ კურაკს დაეჭიდა და პირველ სეტში 6:3 იძალა, თუმცა შემდეგ 1:3, 1:3 დამარცხდა და კურაკის ფინალში გასვლის შემდეგ რეპეშაჟში გადაერთო.

იქ ცხადაიამ მოლდოველ იონ ლუჩიტას 1:0, 0:1, 1:0 აჯობა. ბრინჯაოს ფინალში კი აზერბაიჯანელ ჰასან ალიევს გაეჯიბრა და 1:1, 2:1, 0:2 წააგო. ამ წონის გამარჯვებული უნგრელი ტომაშ ლორინცი გახდა.

74-კილოში ზურაბ დათუნაშვილმა პირველი წრე გამოტოვა და შეჯიბრებაში პირდაპირ მერვედფინალიდან ჩაერთო. ქართველ ფალავანს მეტოქედ უნგრელი ბალინტ კორპასი ჰყავდა, ვისაც 1:0, 3:1 სძლია და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ხორვატ ბოჟო სტარჩევიჩს დაუპირისპირდა. ზურამ, მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში – 2:0, 1:0 გაიმარჯვა და ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში გერმანელი პასკალ ეისელის პირისპირ დადგა.

ქართულ-გერმანულ დაპირისპირებაში გამარჯვება დათუნაშვილს დარჩა. ქართველმა მოჭიდავემ გასამარჯვებლად ამჯერადაც 2 სეტი იკმარა – 2:0, 7:2. ფინალში დათუნაშვილი რუს რომან ვლასოვს დაეჭიდა, ვინც ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. გულშემატკივრებით გამხნევებული ქართველი ფალავანი ბევრს ეცადა, მაგრამ გამოცდილ და ტიტულოვან მეტოქესთან 0:1, 0:2, დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.



84-კილოში ვლადიმერ გეგეშიძემ ფინალამდე ყველა მეტოქე დამაჯერებლად ჩამოიცილა – ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაერთო და მოლდოველ ადრიან მოკანუს 1:0, 6:0, ხოლო ბულგარელ ხრისტო მარინოვს 2:0, 1:0 აჯობა და ნახევარფინალში გავიდა.

ფინალში გადასასვლელი შეხვედრის მოსაგებად გეგეშიძეს ერთი პერიოდიც არ დასჭირდა – სომეხი არტურ შაჰინიანი ბეჭებზე გააკრა და ფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ მსოფლიოს და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და ათენის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი რუსი ალექსეი მიშინი ჰყავდა. გეგეშიძემ შეხვედრა 0:1, 2:0, 0:3 დათმო და ვერცხლის პრიზიორი გახდა.

მოკლედ, თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე მოჭიდავეთა ევროპირველობა დასრულდა. ქართველმა ფალავნებმა ჯამში 7 მედალი მოიპოვეს. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ანგარიშზე 2 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალია.

შეგახსენებთ, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ჩემპიონები გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ) და დავით მარსაგიშვილი გახდნენ (84 კგ), ხოლო ბრინჯაოსმედალოსნები ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60 კგ) და გენო პეტრაშვილი (120 კგ).

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა, მეორე ბულგარეთის ნაკრები იყო, ხოლო პირველი რუსეთის.

ზურაბ დათუნაშვილი:

– მეორე ადგილიც წარმატებაა, მაგრამ ჩემპიონობა მაინც სულ სხვაა. რაღაც მომენტში არ გამიმართლა. რთული მეტოქე შემხვდა. გპირდებით, რომ მომავალ ტურნირებზე მხოლოდ ოქროსთვის ვიბრძოლებ.

ვლადიმერ გეგეშიძე:

– უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით, შანსი მქონდა ჩემპიონი გავმხდარიყავი, რომ არ მქონოდა, ასე არ დამწყდებოდა გული. მადლობა ღმერთს, მადლობა ყველას, ვინც ჩემს მომზადებაში შეიტანა წვლილი, მწვრთნელებს, ფედერაციას, ვეტერანებს და ხალხს, რომლებიც მთელი ამ დღეების განმავლობაში მხარში გვედგა და გვამხნევებდა. განსაკუთრებული მადლობა ჯარისკაცებს.

გურამ ფერსელიძე:

– ძალიან გახარებული ვარ. მართალია ოქროს მედალი უფრო აჯობებდა, მაგრამ ალბათ ასე იყო საჭირო. ოქროსთვის ვიყავით მომზადებულები, მაგრამ მცირე ტრავმების გამო ვერ შევძელი დასახული მიზნისთვის მიმეღწია. ღვთის წყალობით უმედლოდ არ დავრჩი და საქართველოს კიდევ ერთი მედალი მოვუტანე. შევეცდები ჩემს მიერ დაშვებული შეცდომები გამოვასწორო და მომავალში პირველი ადგილი დავიკავო.

ლუკა კურტანიძე:

– საქართველომ ამ ჩემპიონატზე მთლიანობაში კარგი შედეგი აჩვენა. ტურნირის ორგანიზებით კმაყოფილი დარჩა როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები. შედეგებიდან გამომდინარე თავისუფალ ჭიდაობაში გატარებულმა ცვლილებებმა გაამართლა, სადაც 2 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. შედარებით უკმაყოფილო ვარ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მხოლოდ 2 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი ავიღეთ.

მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს ერთი დამატებითი დატვირთვაც ახლდა – ევროპირველობის პარალელურად მიმდინარეობდა აქცია სახელწოდებით „შევუნარჩუნოთ ოლიმპიურ თამაშებს ჭიდაობა“.

აქციის ფარგლებში შეიქმნა ბანერი, რომელსაც ხელი ჭიდაობის საერთაშორისო და ევროპის ფედერაციების ხელმძღვანელებმა, მოქმედმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა, ასევე საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ჭიდაობის ფედერაციების წარმომადგენლებმა მოაწერეს. პირველი ხელმოწერის უფლება კი წამოწყების ორგანიზატორებმა ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალზე მისულ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მისცეს.

აქციას სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვიც შეუერთდნენ. ჭიდაობის სამყაროს მიმართვა, ცხადია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მისამართით გაკეთდა, რომელიც 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭიდაობის დატოვების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას სექტემბერში მიიღებს.

55 კგ: 1. ელბეკ ტაზიევი (ბელარუსი); 2. ელჩინ ალიევი (აზერბაიჯანი); 3. ფათიჯ უჩუნკუ (თურქეთი); 3. ბეკხან მანკიევი (რუსეთი);

60 კგ: 1. ივო სერაფიმოვ ანგელოვი (ბულგარეთი); 2. ივან კუილაკოვი (რუსეთი); 3. იშტვან ლევაი (სლოვაკეთი); 3. კამრან მამადოვი (აზერბაიჯანი);

66 კგ: 1. ტომაშ ლორენცი (უნგრეთი); 2. ადამ კულაკი (რუსეთი); 3. არტაკ მარგარიანი (საფრანგეთი); 3. ჰასან ალიევი (აზერბაიჯანი);

74 კგ: 1. რომან ვლასოვი (რუსეთი); 2. ზურაბ დათუნაშვილი (საქართველო); 3. ბოზო სტარჩევიჩი (ხორვატია); 3. ივან დიმიტროვ იანაკიევი (ბულგარეთი);

84 კგ; 1. ალექსეი მიშინი (რუსეთი); 2. ვლადიმერ გეგეშიძე (საქართველო); 3. არტურ შაჰინიანი (სომხეთი); 3. ნენად ზუგაი (ხორვატია);

96 კგ: 1. არტურ ალექსანიანი (სომხეთი); 2. ვლადისლავ მეტოდიევი (ბულგარეთი); 3. ცენკ ილდემი (თურქეთი); 3. მალონინ ნაუმოვი (საფრანგეთი);

120 კგ: 1. რიზა კაიალპი (თურქეთი); 2. ევგენი ორლოვი (უკრაინა); 3. გურამ ფერსელიძე (საქართველო); 3. ვაჩიკ ეგიზარიანი (სომხეთი);

მარცხი სერბეთან

სერბეთი – საქართველო 2:0

1:0 სტევანოვიჩი (58), 2:0 პანტიჩი (63)

სერბეთი: ოსტოიჩი, ბრაიოვიჩი, სტევანოვიჩი, ბაბიჩი, რადოიევიჩი, გაიჩი, პანტიჩი, ლუკიჩი, ილიჩიჩი (რადონიჩი 51), მიჰაილოვიჩი (იოვანოვიჩი 80), ბელიჩი (იოვიჩი 73).

საქართველო: გოშაძე, მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია, მალანია (ბერიძე 65), თევზაძე, გოროზია, ხარაიშვილი, ზარანდია, რომან ჭანტურია, კერძევაძე.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა ელიტრაუნდის მეორე ჯგუფის პირველი შეხვედრა სერბეთის ნაკრებთან გამართა და 2:0 დამარცხდა. მატჩის 58-ე წუთზე სერბები სტევანოვიჩმა პანტიჩის პასით დააწინაურა, 63-ზე კი ანგარიში ორამდე თავად პანტიჩმა გაზარდა.

უეფას ვებგვერდის ტექსტური მიმოხილვით ჩვენების დარტყმული ბურთი 2-ჯერ წასულა კარში, ხოლო სერბების – 20-ჯერ. ვფიქრობთ, ამით სერბების უპირატესობაზე ყველაფერია ნათქვამი.

საერთოდ, სერბეთი ჯგუფის მთავარი ფავორიტი იქნებოდა თავიდანვე ნათლად ჩანდა და მათთან მარცხიც კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

ანდრეი მაკარევიჩის კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ხუსული ჩოჯ-ჯგუფის „მამინა ვჩემენისა" და მისი სოლისტის ანდჩეი მაჯარევიჩის კონცერტმა თბილისში სრული ანშლაგით ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტი დათქმული დროზე ოთხ საათის დაგვიანებით დაიწყო, მსმენელს გრიბოედოვის თეატრის დარბაზიდან ფეხი არ მოუცვლია.



კონცერტის დაგვიანების მიზეზი კი სტუმრების თბილისში ორსაათიანი დაგვიანებით ჩამოფრენა გახდა. კონცერტამდე დაგეგმილი პრესკონფერენცია კი საერთოდ ჩაიშალა.

თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ თეატრში ანდრეი მაკარევიჩის კონცერტის ჩატარების ინიციატორი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი" აღმოჩნდა. მუსიკოსმა მსმენელისთვის ცნობილი ჯაზური კომპოზიციები და რუსული სიმღერები შეასრულა. მასთან ერთად სცენაზე ევგენი ბორეცის ტრიო, დუეტი „ბრილ ბრადერსი" და მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერალი ეთერ ბერიაშვილი წარსდგნენ.

კონცერტის მონაწილე ევგენი ბორეცი ცნობილი ჯაზპიანისტია, ის „ჯაზ თაუნ ბენდის" ხელმძღვანელია და შექმნილი აქვს მუსიკა როგორც ფილმებისთვის, ისე თეატრალური წარმოდგენებისთვის. იგი მოსკოვის პუშკინის სახელობის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი და კლუბის „ჯაზ თაუნი" არტ დირექტორია. მისი ტრიო ცნობილია საავტორო კომპოზიციებით და ცნობილი ჯაზური კომპოზიციების მათეული ორიგინალური ინტერპრეტაციებით.

რაც შეეხება კონცერტის მესამე სტუმარს, დუეტი „ბრილ ბრადერსი" ალექსანდრე და დიმიტრი ბრილს აერთიანებს და მათ მიღებული აქვთ გრან პრი ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო ჯაკარტასა და მონრეალში გამართულ ფესტივალებზე ლაურეატები გახდნენ.

კონცერტის ქართველი მონაწილე ეთერ ბერიაშვილი მოსკოვის სახელმწიფო სასწავლებლის კურსდამთავრებულია, რომელიც ესტრადისა და ჯაზის ხელოვნებას ასწავლის დაინტერესებულ პიროვნებებს. ამჟამად გამოდის მოსკოვის საუკეთესო ჯაზმენებთან ერთად და მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო ფესტივალსა თუ კონკურსში იგი ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსის „კიბე ზეცაში" დიპლომანტია. ეთერ ბერიაშვილი ვოკალური ჯგუფის „აკაპელა ექსპრესი" და პროექტის „ჯაზ პარკინგის" მონაწილეა.

მოსკოვში არსებული ქარბუქის გამო ავიარეისები დროებით გადაიდო, რის გამოც თბილისში კონცერტის გადადების საშიშროება შეიქმნა, თუმცა როგორც თბილისში ჩამოსულმა მუსიკოსმა განაცხადა:

– მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა მამაკაცმა „დომოდედოვოს" აეროპორტიდან მუსიკოსები ავტობუსით „შერემეტიევოს" აეროპორტში გადაგვიყვანა და ავიარეისების აღდგენისთანავე ჩვენ თბილისისკენ გამოფრენა შევძლით.

ანდრეი მაკარევიჩის კონცერტზე დასასწრებალდ გრიბოედოვის თეატრში მსმენელი ბათუმიდან, ქუთაისიდან და ზუგდიდიდანაც კი ჩამოვიდა. მთლიანობაში კონცერტი ორ საათს გაგრძელდა.

ანდრეი მაკარევიჩმა ჟურნალისტებთან ქართველ მსმენელსა და საქართველოს დიდ სიყვარულზე დაუღალავად ისაუბრა.

– საქართველოში ბოლო კონცერტი 16 წლის წინ მქონდა, ამიტომ ნოსტალგიაც დიდი იყო. ძალიან მიყვარს საქართველო. პოლიტიკა ხელოვნებასთან და ჩვეულებრივ ცხოვრებასთან კავშირში არ არის. მენატრებოდა აქაურობა და 16 წლის შემდეგ მოვახერხე ჩამოსვლა, თუმცა მე აქ უკვე ხშირად ვივლი, საქართველოს გარდა თხილამურებით სრიალიც მიყვარს. დილიდანვე გუდაურში გავემგზავრები. სრიალითაც მივიღებ სიამოვნებას და ერთ-ერთ საცხოვრებელ აპარტამენტში ერთოთახიან ბინას შევიძენ, რომელიც ახლა შენდება. როდესაც გუდაურის სათხილამურო კომპლექსი გაიხსნა, ერთ-ერთი პირველი მე ვიყავი, რომ ვისრიალე იქ. მოსკოვში გამგზავრებამდე თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებასაც ვაპირებ, – განაცხადა რუსმა მუსიკოსმა.

თბილისელი მაყურებლისთვის მუსიკოსებმა პროგრამა „ჯაზური ტრანსფორმაციები" წარმოადგინეს. ბილეთები, რომლის ფასი 25-დან 50 ლარამდე მერყეობდა, სულ გაიყიდა.

– ჯაზის შესრულებაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ძალიან მოხარული ვარ, რომ კარგმა ჯაზ-შემსრულებლებმა თავის კოლექტივში მიმიღეს. მგონია, რომ ამ კონცერტზე მოსული ადამიანები წარმოდგენილი მუსიკალური პროგრამით სრულიად ტრანსფორმირდნენ და სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ.

შეკითხვაზე, თუ რატომ დაიწყო ანდრეი მაკარევიჩმა ჯაზის შესრულება, მას ასეთი პასუხი აქვს:

– ყველაზე დიდი სიამოვნებით გასული საუკუნის 40-50-იანი წლების ამერიკულ ჯაზურ მუსიკას ვუსმენ – დაიანა ვაშინგტონი, ჩეტ ბეკერი, ელა ფიცჯერალდი მათი მუსიკა სავსეა ლამაზი მელოდიებით, ცოცხალი შესრულებით, არაჩვეულებრივი არანჟირებით, ორკესტრის არნახული ჟღერადობით, რომელიც დღეისათვის ყველაზე დეფიციტურია. ძალიან კარგად მესმის, რომ არ ვარ ჯაზის მომღერალი და არც არასოდეს გავხდები, მაგრამ ასე მგონია, რასაც ვაკეთებ, რაღაც ახალი და საინტერესოა.

რუსთაველის თეატრში ფსიქოზია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ექიმის სახით და ღმერთს, რომელმაც იგი დაივიწყა.

გაცემული ლიცენზიით, რომლის თანახმადაც საქართველოში პირველად მუსიკისა და დრამის თეატრში შედგა „ფსიქოზი 4.48"-ის პრემიერა, ერთ-ერთი მოთხოვნა ამ პიესაზე საავტორო უფლებათა მფლობელი ორგანიზაციის მიერ ის იყო წაყენებული, რომ პიესის ლიტერატურული სტილისტიკა ზედმიწევნით უნდა ყოფილიყო დაცული და მასში გამოყენებული ყველა უცენზურო სიტყვა თუ გამონათქვამი შენარჩუნულიყო.

ასე რომ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა სარა კეინის ეს პიესა ქართულ თეატრალურ სივრცეში იდგმება. იგივე პიესა მუსიკისა და დრამის თეატრში რეჟისორმა მაკა ნაცვლიშვილმა დადგა და მასში მონაწილეობა ორ მსახიობ ქალს – რუსკა მაყაშვილსა და მარი კიტიას მიაღებინა. რუსთაველის თეატრში კი კიტა როყვა მაყურებელს მონოსპექტალზე დაპატიჟებს და მთელ პიესას ერთი მსახიობი – ბესო ზანგური წარმოადგენს.

თბილისში დოკუმენტური ფილმების ფესტივალი ჩატარდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

11-12 აპრილი), გურჯაანი-თელავი (11-12-13 აპრილი) და წალკა (14-15 აპრილი).

დოკუმენტური კინოფესტივალების ორგანიზატორია ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში" რეგიონალურ პარტნიორებთან ერთად „საქდოკ ფილმი" საქართველო და „ინტერნიუსი" სომხეთი.

– „ადამიანი გაჭირვებაში" ჩეხური ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებისა და განვითარების საქმიანობებს, მუშაობს რა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლების დაცვის კუთხით. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაცია პოსტ საბჭოთა ევროპის ქვეყნებში, და 17 წლის განმავლობაში 37 ქვეყანაში აქვს განხორციელებული პროექტები. 2011 წელს, ის არის უმსხვილესი არასამთავრობო ორგანიზაცია დახმარებისა და განვითარების მიმართულებით მომუშავე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. იგი ახორციელებს სოციალური ინტეგრაციის პროგრამას ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში. გააჩნია რა გავლენიანი ხმის უფლება ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოების წრეებში, ორგანიზაცია მუშაობის მეორე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გლობალური პრობლემების, საგანგებო სიტუაციებისა და განვითარების თანამშრომლობის შესახებ. 2009 წელს მისი პროექტების ფინანსური ბრუნვა 17 მილიონ ევროს შეადგენდა. ეს ორგანიზაცია არის განვითარების თანამშრომლობის ჩეხური ფორუმის, ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების ალიანსის 2015, ევრო კავშირის მონიტორინგის ცენტრისა და ევროსტეპი და კონკორდის ქსელის აქტიური წევრი. იგი ასევე წარმოადგენს ჩეხეთის მთავრობის და სხვა მრავალი ორგანიზაციის განმხორციელებელ პარტნორს, დარეგისტრირებულია როგორც საერთაშორისო კერძო მოხალისე ორგანიზაცია. 2005 წლიდან ეს ორგანიზაცია ახორციელებს პერმანენტულ მისიას საქართველოში, ამჟამად ორგანიზაცია უზრუნველყოფს თავის ბენეფიციართა მხარდაჭერას სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისში. მისი პროექტები 3 ძირითად სფეროს მოიცავს: ეკონომიკური განვითარება (საარსებო წყარო, სოფლის მეურნეობა, მდგრადი ტურიზმი, არალეგალური მიგრაციის შემცირება); სამოქალაქო საზოგადოების განვითარება (კარგი მმართველობა, ახალგაზრდული ინიციატივებისა დამცირე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა) და სოციალური სერვისის უზრუნველყოფა (სოციალური საქმიანობები, ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილება). ჩეხური არაკომერციული ორგანიზაია „ადამიანი გაჭირვებაში" დაარსდა 1992 წელს და განახორციელა პირველი ჰუმანიტარული მისია მთიანი ყარაბახის მოსახლეობის დასახმარებლად. ჩვენ წარმოვადგენთ ორგანიზაციას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მსოფლიოს მრავალ კუთხეში საქმიანობს. ამ ორგანიზაციის მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა თემაში – სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების მხარდაჭერა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების (ახალგაზრდული) პროექტი, პროექტი „ერთი მსოფლიო საქართველოს სკოლებში – ადამიანის უფლებების სწავლება დოკუმენტური ფილმების საშუალებით" და ფერმერების თანამშრომლობაზე დამყარებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაარსება. დასრულებული პროექტები კი ასე გამოიყურება: მხარდაჭერის აღმოჩენა საფრანგეთიდან დაბრუნებული ქართველებისათვის ახალი მცირე ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად, გარდამავალი თანამშრომლობა (ტრანს 3), ზუგდიდის რაიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა 2009-2011, საქართველოს მოწყვლადი რაიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სოციალურ-ჰუმანიტარული მხარდაჭერის გაწევა ზუგდიდის რეგიონში განთავსებული შერჩეული იგპ სათმო ცენტრებისათვის, გარდამავალი თანამშრომლობა ტრანს2, ყაზბეგის რეგიონში ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა – 2008, ფერმერების მხარდაჭერა ორპირის თემში და განვითარების პროექტი 2008-2009, – აღნიშნავს პროექტის მენეჯერი.

სპორტი

საქართველოს ფიბას წარმომადგენელი სტუმრობს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირის ორგანიზებით 25-27 მარტს თბილისი ფიბა-ევროპისა დასაქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა ერთობლივ რეგიონალურ სემინარს მასპინძლობს. სემინარს ხელმძღვანელობს ფიბა-ევროპის მსაჯთა და საშეჯიბრო დეპარტამენტების დირექტორი რიჩარდ სტოქსი.

რიჩარდ სტოქსი, ფიბა-ს ყოფილი არბიტრია, რომელსაც მდიდარი სამსაჯო გამოცდილება აქვს და სხვადასხვა უმაღლესი დონის ტურნირებზე უმსაჯია. იგი ქართველი მსაჯებისთვის, კომისრებისთვის, მსაჯმდივნებისთვის და მწვრთნელებისთვის სამდღიან სემინარს ჩაატარებს. თბილისში საგანგებოდ სემინარებზე დასასწრებად აზერბაიჯანელი მსაჯები და კომისრები ჩამოვიდნენ.

გუშინ, სემინარის დაწყებამდე, სასტუმრო „რედისონში", რიჩრდ სტოკსმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად პრესკონფერენციას გამართა, ხოლო დღეს ფიბა-ევროპის ჩინოსანი სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, თამაზ თევზაძეს შეხვდება, შემდეგ კი უკვე მწვრთნელებს ჩაუტარებს სემინარს. სტოკი თავის საქმიანობას ხვალ დაასრულებს, როდესაც საქართველოს სუპერლიგის მატჩებს დაესწრება და ქართველ მსაჯებს ანალიზს გაუკეთებს.

ბესიკ ლიპარტელიანი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– დიდი მადლობა სტუმარს ჩამობრძანებისთვის. ფიბა-ევროპასთან თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე ჩვენ ფიბას 5 არბიტრი გვყავს, თუმცა ეს საკმარისი არ არის და ბატონი რიჩარდ სტოქსის ძალისხმევით, ეს რიცხვი უნდა გაიზარდოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საკითხია მწვრთნელებისა და მსაჯკომისართა ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც ასევე ასამაღლებელია.

რიჩარდ სტოქსი:

– ფიბა-ევროპასთვის სასიამოვნოა დეტალია, რომ თანამშრომლობს საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან. საერთოდ, ქართული კალათბურთი კარგ დონეზე გავიდა და ეს მარტო ნაკრებზე არ აისახება – უკვე გამოჩნდა ქართული გუნდიც ევროსარბიელზე. ამაში ფედერაციის დიდი წვლილი არის. დღეს ვარ მისით ჩამოსული, რომ საქართველოში ავამაღლოთ მსაჯობის დონე. თუ მსაჯი არ ვარგა, ის მატჩი კარგი ვერ გამოვა. ქართველი მსაჯები სისტემატურად არიან ევროსარბიელზე და ევრობასკეტის მატჩებსაც ემსახურებიან, მაგრამ უნდა გამოჩნდეს ახალი სახეებიც და ჩვენ ამას ერთობლივი მუშაობით შევძლებთ. ისიც უნდა დავძინო, რომ ჩემი და ფიბას ურთიერთობა საქართველოს ფედერაციასთან ახალი არ არის და აქ მარტო მსაჯების დონის ასამაღლებლად არ ვარ ჩამოსული. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ საკითხში გავუწიოთ კონსულტაციები საქართველოს კალათბურთის ფედერაციას.

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 2. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 5. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი მცენარე; 8. მუსულმანთა რელიგიური სამართლის კანონთა კრებული; 9. ცნობილი არგენტინელი კალათბურთელი მამაკაცი; 12. გერმანული ბულდოგი; 13. ძვირფასი ლითონი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 17. ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში; 19. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 20. იაპონიის კუნძული.

თარაზულად: 6. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 7. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 8. პოპულარული გერმანული ჟურნალი; 10. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის; 11. საზღვაო ხელშეკრულება; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. რაიმე სადავო საკითხებზე დასკვნების გამომტანი, შემფასებელი სპეციალისტი; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 24. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი.

შეადგინა თ.ფოვინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. პარაზიტი; 6. პრომეთე; 8. გენკანი; 10. ინტარსია; 11. ათლეტი; 13. პრიმატი; 16. ნიკელინი; 18. სირია; 19. აფერა; 21. პრერია; 22. ოტოსკოპი; 23. პასტორი.

შვეულად: 1. ლაზარეთი; 2. კიანუ; 3. კომპოსტი; 4. კეფალი; 7. კნუტი; 9. ატამი; 12. სტაციონერი; 14. კითარა; 15. ნეფრიტი; 17. რიპოსტი; 20. კრეპი.

სკანვორდის პასუხები:

1. ნაირობი; 2. ელზა; 3. რომი; 4. სოლ; 5. ბე; 6. აგა; 7. ანარა; 8. კორსიკა; 9. სამაია; 10. საპყარი; 11. ოკარინა; 12. ანტენა; 13. ყაიდა; 14. ნატრი; 15. ნიკ; 16. იაკი; 17. კარატე; 18. ისტორია; 19. მანტია; 20. ქეი; 21. ისინდი; 22. ინა; 23. კოფო; 24. სარე; 25. ტიტრი; 26. ანოა; 27. ტიტანი; 28. ანდამატი; 29. სტრუქტურა; 30. სლაი; 31. დინამო; 32. მარატ; 33. ბი.

სურათებზე: ბრიტნი სპირსი; ანტონ ფერდინანდი.

ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალებაში ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები არ არის

ბრიტანული პოლიცია, რომელიც ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების გარემოებებს იძიებს, აცხადებს, რომ მათ არ აქვთ არანაირი საფუძველი, რომ რუსი ბიზნესმენის გარდაცვალებაში მესამე ძალის არსებობა ივარაუდონ.

სამართალდამცავების ცნობით, ბერეზოვსკის ცხედარი მისმა დაცვის წევრმა აღმოაჩინა, რომელსაც საბაბაზანოს კარის შემტვრევა მოუწია. მათი თქმით, ბერეზოვსკის გარდაცვალებაში ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები არ არის.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბერეზოვსკის სხეულის ქსოვილის ნიმუშები ოლდერმასტონის ბირთვულ ცენტრში გამოსაკვლევად გადაიგზავნება, სადაც მას დამატებითი ექსპერტიზა ჩაუტარდება.

ბერეზოვსკის სახლში და მიმდებარე ტერიტორიაზე ბირთვული იარაღისა და რადიოაქტიური დაბინძურების სპეციალისტებმა ჩატარებული კვლევის შემდეგ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

გარდაცვლილი ბიზნესმენის ბორის ბერეზოვსკის მეგობრებს ეჭვი ეპარებათ, რომ ალიგარქმა თავი მოიკლა. ბერეზოვსკის ყოფილი მეუღლე გალინა ამტკიცებს, რომ ცხედართან ახლოს შარფი იპოვეს. აღსანიშნავია, რომ სახლი, რომელშიც ბერეზოვსკი ცხოვრობდა სწორედ გალინას ეკუთვნოდა და ამიტომაც იგი შემთხვევის ადგილზე დაუშვეს.

ბერეზოვსკის ყოფილი მეუღლე აცხადებს, რომ აბაზანაში სადაც ბიზნესმენი გარდაიცვალა შარფი იპოვეს. თავის მხრივ, ბერეზოვსკის მეორე მეგობარი ნიკოლაი გლუშკო მიიჩნევს, რომ ბიზნესმენი შესაძლოა დაახრჩვეს. ინფორმაციას ამის შესახებ გაზეთი „გარდიანი“,-ავრცელებს.

„ბორისი დაახრჩვეს. მას ეს ან თავად გააკეთა ან მას დაეხმარნენ. მე არ მჯერა რომ ეს თვითმკვლელობა იყო. ეს არ იყო ჩვეულებრივი სიკვდილი“, – აცხადებს გლუშკო.

„ბორის ბერეზოვსკი გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე დეპრესიიდან გამოდიოდა“, – აცხადებს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების ყოფილი თანამშრომლის ალექსანდრე ლიტვინენკოს ქვრივი მარინა.

„ჩემი აზრით ნაკლებსავარაუდოა, რომ ბერეზოვსკის თავი მოეკლა. როდესაც მე მას ბოლოს ვესაუბრე მან მითხრა, რომ ის ცოტა გონს მოვიდა და მგონია, რომ ის უკეთ ხდებოდა. მან დაიწყო დაინტერესება იმით თუ რა ხდებოდა ირგვლივ. მეკითხებოდა ჩემი ვაჟის შესახებ“, – განაცხადა მარინა ლიტვინენკო ბრიტანულ გაზეთ „ტელეგრაფთან“ საუბარში.

მისივე თქმით, ბერეზოვსკის ძალიან ბევრი მტერი ჰყავდა.

ბიზნესმენის ახლობლებს კი მისი გარდაცვალების ბუნებრივ მიზეზებში ეჭვი არ ეპარებათ.

ამის შესახებ „ინტერფაქსი“ ბერეზოვსკის ოჯახის ახლობელზე დაყრდნობით წერს.

„დღეს შეგვიძლია, 100%-ით ზუსტად ვთქვათ, რომ გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი იყო“, – აცხადებს წყარო ბერეზოვკის ახლობლებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება დაკრძალვის ადგილს, მისი ინფორმაციით, ამის შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

„ჯერჯერობით დაკრძალვის ადგილის საკითხი არც განხილულა. ოჯახმა ჯერჯერობით ზუსტად ისიც კი არ იცის, როდის დასრულდება საგამოძიები მოქმედებები, როდის გაკეთდება საბოლოო დასკვნა გარდაცვალების მიზეზებზე და მისი ცხედარი ოჯახს გადაეცემა“, – აღნიშნა მან.

ხმები ბაშარ ასადის გარდაცვალების შესახებ მისმა გარემოცვამ უარყო



არაბულმა მედიამ ინფორმაცია გაავრცელა, რომ თითქოს სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი კვირას საკუთარმა დაცვის წევრმა დაცხრილა. არაბულ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, „ნიუ იორკ დეილი ნიუსი“ იტყობინება, რომ დაცვის წევრი წარმოშობით ირანელია. პრეზიდენტი მძიმე მდგომარეობაში დამასკოში, ალ-შამის საავადმყოფოში მიიყვანეს, ხოლო გზები სახელისუფლო ჯარების მიერ იყო გადაკეტილი.

სირიის არმიის წარმომადგენლებმა გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. „ეს რომ სიმართლე იყოს, ისრაელის მედიას მის გავრცელებას ვერავინ დაასწრებდა. ამასთან, ასადს ირანელი დაცვის წევრები არ ჰყავს. პრეზიდენტი ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას“, – აცხადებს „როიტერთან“ სირიის ხელისუფლების წარმომადგენელი.

მოსკოვში სირიის საელჩო ბაშარ ასადის გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ასევე უარყოფს.

„ეს ტყუილია! ჩვენი პრეზიდენტი ადგილზეა და თავის თანამდებობას იკავებს“, – განაცხადა საელჩოს თანამშრომელმა. აღნიშნული ინფორმაცია უკვე უარყვეს დამასკოში რუსეთის საელჩომ და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა.

გუშინ სირიის ეროვნული კოალიციის ლიდერმა მოაზ ალხათიბმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა.

როგორც აღნიშნავენ, ამ ნაბიჯით მან სირიის საკითხთან მიმართებაში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოზიციასთან დაკავშირებით გამოხატა უკმაყოფილება. ცოტა ხნის წინ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოწოდება არ გაითვალისწინეს და სირიელ ამბოხებულებისათვის იარაღის მიწოდებაზე დაწესებულ ემბარგოს მოხსნას მხარი არ დაუჭირეს.

სირიის კონფლიქტში, გაეროს მონაცემებით, 70 ათასი ადამიანია დაღუპული. კონფლიქტი 2011 წლის მარტიდან დაიწყო, როცა ოპოზიციის მასობრივ საპროტესტო აქციებზე ბაშარ ასადის პოსტიდან გადადგომა მოითხოვეს.

ყარზაი „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკებებს მართავს

ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი ყატარში გაემგზავრება, სადაც „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებს. ამის შესახებ კვირას ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა.

„პრეზიდენტი ყარზაი სამშვიდობო პროცესისა და თალიბანის ოფისის გახნის შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას“, – განაცხადა ჯანან მოსაზაიმ.

„როიტერის“ ცნობით, ამერიკამ უკვე განაცხადა, რომ მიესალმება ყატარში ისეთი ოფისის გახსნას, სადაც „თალიბანსა“ და ავღანეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა იქნება შესაძლებელი.

„ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ყარზაის ყატარში ვიზიტს. პრეზიდენტი და მსოფლიოს სხვა ლიდერები აგრძელებენ ავღანეთის შეაირაღებული ოპოზიციის მოწოდებას, რათა ისინი პოლიტიკურ პროცესს შეუერთდნენ“, – განაცხადა თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა კეტლინ ჰაიდენმა.

ამ ფონზე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ავღანეთში დაუგეგმავი ვიზიტით ჩავიდა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ჯონ კერი ავღანეთის ხელისუფლებისთვის აშშ-ის მიერ ერთადერთი კონტროლირებადი, ბაგრამის ციხის საბოლოოდ გადაცემის ცერემონიას დაესწრო. მოგვიანებით ის ასევე შეხვდება ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის.

ბაგრამის ციხე ავღანეთის დედაქალაქ ქაბულიდან 40 კილომეტრის დაშორებით, ბაგრამის ავიაბაზაზე მდებარეობს. მას ხშირად „ავღანეთის გუანტანამოს“ უწოდებდნენ, იქ მყოფი პატიმრების მიმართ დამოკიდებულების გამო.

გასული წლის მარტში, აშშ ავღანური მხარისთვის ბაგრამის ციხის 3 ათასზე მეტი პატიმრის გადაცემას დათანხმდა. პირველი ცერემონია გასული წლის სექტემბერში გაიმართა. ციხის სრული გადაცემა რამდენიმე პატიმრის საქმის გამო ჭიანურდებოდა. ციხეში ამ დრომდე რჩებოდნენ ამერიკული საბრძოლო ძალები, რომლებიც დაახლოებით 50 პატიმარს იცავდნენ.

2012 წლის თებერვაში ამერიკელმა სამხედროებმა პატიმრებისთვის წართმეული ყურანი დაწვეს, რამაც მთელ ქვეყანაში არეულობა და მკვლელობები გამოიწვია.

ოვანისიანის შტაბი პოლიტიკოსზე თავდასხმის მცდელობაზე საუბრობს

სომხეთის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის რაფი ივანისიანის შტაბმა განაცხადა, რომ პოლიტიკოსზე თავდასხმის მცდელობა მოხდა. ოვანისიანი ამ დღეებში თავისუფლების მოედანზე 18 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად შიმშილობას მართავს.

შტაბის განცხადების მიხედვით, 23 მარტს მოედანზე ოვანისიანი „ფოლკ-კონცერტში“ იღებდა მონაწილეობას, მასთან მიახლოება საშინელი ყვირილით უცნობმა მამაკაცმა სცადა, რომლის გასაჩერებლად პოლიციამ თითქმის არაფერი იღონა და ოვანისიანთან თითქმის ათ მეტრზე მიახლოებული სავარაუდო მკვლელის გაჩერება შეკრებილებმა შეძლეს.

განცხადებაში შტაბი პოლიციას მოუწოდებს „დაუყოვნებლივ გამოავლინონ სავარაუოდო მკვლელის ვინაობა, ასევე საზოგადოებას იმ სისხლის სამართლის საქმის ყველა დეტალის შესახებ აცნობონ, რომელსაც მის წინააღმდეგ აღძრავენ“.

სომხეთში წინასაარჩევნო პერიოდში თავდასხმა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატ პარუირ აირიკიანზეც მოხდა.

შეგახსენებთ, რომ რაფი ოვანისიანი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებას არ აღიარებს.

ოვანისიანი მეორე ადგილზე გავიდა და მან ხმების 36,75% მიიღო. სერჟ საქისიანმა კი ხმების 58,64% დააგროვა და ქვეყნის პრეზიდენტი მეორე ტურის ჩატარების გარეშე გახდა. თუმცა, ოვანისიანი და მისი მხარდამჭერები აღნიშნულს არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ სწორედ ოვანისიანი აირჩია სომეხმა ხალხმა პრეზიდენტად.

ოფიციალური მონაცემებით სხვა კანდიდატების შედეგები 3%-ს არ აღემატებოდა.

საერთაშორისო დამკვირვებელმა მთლიანობაში დადებითად შეაფასეს ჩატარებული არჩევნები, თუმცა მათ გარკვეულ დარღვევებზეც ისაუბრეს.

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ჰაიდი ტალიავნის თქმით: „მთლიანობაში არჩევნები პროფესიონალურად ჩატარდა“.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი, ეკა დავითაშვილი, ერეკლე უგრელიძე ღრმა გულისტკივილით თანაუგრძნობენ ვახტანგ, გოგი, ნინო ანანიაშვილებს შვილისა და ძმის, უსაყვარლესი პიროვნების

ლევან ანანიაშვილის

გარდაცვალების გამო.



ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი, ეკა დავითაშვილი, კრეკლე უგრელიძე ღრმა გულისტკივილით თანაუგრძნობენ ეკა ციხისთავს, ანა, სანდრო ანანიაშვილებს მეუღლისა და მამის, დაუვიწყარი

ლევან ანანიაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი ინგა სამხარაძე, ძმა ბიძინა ლომთათიძე, რძლები ციალა მანჯგალაძე, ია ბობოხიძე, თეა აბაშიძე, შვილიშვილები გიორგი, დუშიკო სამხარაძეები, ძმისშვილები პაატა, პაპუნა ლომთათიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უძვირფასესი ქალბატონი

ციალა პავლეს ასული ლომთათიძე

დაკრძალვა: სამშაბათს, 26 მარტს, 15 საათზე.
მისამართი: პუშკინის ქუჩა №141.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

სამშაბათი 26 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 17.00 „საფარი„ 17.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 ტ/სერ „მიმინო„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „ესროლე„ (ქ.ოვენი) 01.30 დ/ფ „ირანი-ნიღაბმოხსნილი ძალა„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 7 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 4 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „გასაკირავებელი კუნძულები - კუს კუნძული„ 16.00 სერ.„დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „კეი-პაძსი„ (კ.სპეისი) 00.35 მხ/ფ „უანასკნელი ლეგიონი„ (ბ. ინგსლი) (ტიტ.) 02.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მფვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ძალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.30 სერ „ბმირი„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ირაო 06.50 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.15 დოკ/ფ „ანთიმოზ ივერიელი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ივანე კოტორაშვილის ამბავი„ 13.20 კონცერტი -ანს.„შავნაბადა„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი-ანა-სოფია მუთერი 16.45 საღვთისმსახურო წელიწადი 17.10 დოკ/ფ „იერუსალიმის ქვა„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ/ფ „პატარა მეგობრები„ 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ფონდი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 ირაო

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6587	ევრო — 2,1457
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5202	100 რუსული რუბლი — 5,3623

ამინდის პროგნოზი 26 მარტისთვის

მარჯანიშვილის თეატრში ეტიუდების ფესტივალი იწყება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და მარჯანიშვილის თეატრი ერთად აღნიშნავენ თეატრის საერთაშორისო დღეს – 27 მარტს და ამ თარიღს ეტიუდების ფესტივალს უძღვნიან.

– უკვე მეხუთე წელია, მარჯანიშვილის თეატრი „ეტიუდების ფესტივალს“ მასპინძლობს. 26 და 27 მარტს თეატრალური უნივერსიტეტის პირველი, მეორე და მესამე კურსის სამსახიობო და სარეჟისორო სპეციალობის სტუდენტები მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგენენ ეტიუდებს, რომელთა ხანგრძლივობა არ აღემატება 7 წუთს და გამოყენებული განათება, ხმა და დეკორაცია, მინიმუმამდეა დაყვანილი. ფესტივალის საკონკურსო პროგრამის ძირითადი ნაწილი პირველ დღეს იქნება ნაჩვენები, მეორე დღეს ეტიუდების მეორე ნაწილს იხილავს მაყურებელი. კომპეტენტური ჟიური დროებით დატოვებს დარბაზს, მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და გამოავლენს გამარჯვებულებს. თეატრალური უნივერსიტეტი და მარჯანიშვილის თეატრი გადასცემენ ფულად ჯილდოებს, საღამო კი დიდი წვეულებით დასრულდება. ეს ფესტივალი ტარდება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს ფარგლებში და მასზე შეგროვილი თანხა გადაერიცხება ახალგაზრდა მსახიობს გიორგი ყორღანაშვილს, – განაცხადა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ჯაბა სიხარულიძემ.

ფესტივალის ორგანიზატორია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი კი თემო კუპრავაა.

– ამ ფესტივალის მიზანია თეატრის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, სტუდენტებში პროფესიული მოტივაციის ამაღლება, შემოქმედების პოპულარიზაცია და ამით მათი წახალისება. ასევე, ახალი სახეების აღმოჩენა და ტალანტების გამოვლენა, – ამბობს ჯაბა სიხარულიძე.

ეკა ირემაშვილი

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 26 მარტისთვის

ვერძი – ფულს იშოვით, თანაც ბევრს. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, გახარებული ხართ. **ტყუპები** – ფული არ გაქვთ, მაგრამ სიტუაცია მალე გამოსწორდება. **კირჩხიბი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ცხოვრება გიხარიათ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, წარმატებაც არ დააყოვნებს. **სასწორი** – მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, ასე აჯობებს. **ღრიანკალი** – ყველა საქმე გამოგდით, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მოუსმინეთ მას. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – მთლიანობაში ბედნიერი დღეა, ბრწყინვალე ფორმაში ხართ. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ნახევარკუნძული ევროპაში; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. საწამლავი, შხამის ძველებური სახელწოდება; 5. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 10. დაუკოდავი ხარი, ბუღა; 11. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 12. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 13. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 16. ერთ-ერთი კონტინენტი; 17. იაპონური მოტოციკლეტი; 19. ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 21. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. ზღვისპირა კურორტი იორდანიაში.

თარაზულად: 6. ამერიკელი ზანგების სასულიერო ჰიმნი; 7. მხარე გერმანიაში; 8. აეროპორტი ლონდონში; 9. სვანური ციხეკოშკი; 14. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 15. სპორტსმენების ყიდვა-გაყიდვა; 18. კათოლიკე მღვდელი; 20. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 22. მქრქალი, გამჭირვალე ფაიფური; 24. საქართველოს დედოფალი მეთერთმეტე საუკუნეში, ბაგრატ მეექვსეს მეუღლე; 25. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 26. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ჩინეთის პირველმა ლედიმ მთელი ინტერნეტი აალაპარაკა

ჩინეთის პირველი ლედი საზოგადოების წინაშე გამოჩნდა. სახალხო რესპუბლიკის წინა მმართველების მეორე ნახევრები იშვიათად ეჩვენებოდნენ პუბლიკას. პენ ლიუანმა კი ეს სტერეოტიპი დაამსხვრია.

ჩინური და მსოფლიო მედიის ყურადღება სი ძინპინის მეუღლემ 22 მარტს მიიპყრო, როცა რუსეთში ვიზიტისას ის, თავის მეუღლესთან ერთად, თვითმფრინავის ტრაპზე, „ვნუკოვოს“ აეროპორტში ჩამოდიოდა. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ჩინურმა გაზეთებმა ჩვეულებას უღალატეს და პუტინის და ძინპინის ფოტოების გვერდით მათი ლიდერის მეუღლის ფოტოც გამოაქვეყნეს.

თუმცა, პენ ლიუანი ჩინელებისთვის არც ისე უცხოა. მას ქვეყანაში კარგად იცნობენ, როგორც მომღერალს. „სი-ენ-ენის“ ცნობით, ჩინურ ტელევიზიაში ის ჯერ კიდევ 1983 წელს გამოდიოდა და პატრიოტულ სიმღერებს ასრულებდა. 18 წლის ასაკში ის არმიაში წავიდა და გენერალ-მაიორის წოდებამდეც მიაღწია. ამ დროისათვის, ჩინეთის პირველი ლედი ხელოვნების აკადემიაში დეკანის თანამდებობაზე მუშაობს.

მას შემდეგ, რაც სი ძინპინი ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელი გახდა, პენ ლიუანმა ტელევიზიით გამოსვლა შეწყვიტა და პუბლიკის წინაშეც იშვიათად ჩნდებოდა. ამიტომაც მისმა ხელახალმა გამოჩენამ ჩინეთში დიდი ფურორი გამოიწვია. ინტერნეტის მომხმარებლები პირველი ლედის მისამართით ქათინაურებს არ იშურებენ და აღფრთოვანებას გამოხატავენ. ერთ-ერთი ჩინელი ინტერნეტის მომხმარებელი იმასაც კი წერს, რომ შესაძლოა, პირველმა ლედიმ ამის მერე უფრო მეტი ყურადღება მიიქციოს საზოგადოებაში, ვიდრე მისმა მეუღლემ, ხოლო მედიამ ის უკვე შეადარა მიშელ ობამას.

ცნობილი წყვილი უკვე 23 წელია, დაქორწინებულია და ერთი შვილი ჰყავთ – მოზარდი გოგონა. მათ ერთმანეთი 1986 წელს საერთო მეგობარმა გააცნო. მაშინ სი განვითარებად საპორტო ქალაქ სიამენის ვიცე-მერად მუშაობდა. პენს ის თავდაპირველად საშინლად არ მოეწონა – მოეჩვენა, რომ იგი სოფლელი და მისთვის ზედმეტად ასაკოვანი იყო (სი 10 წლით უფროსია მასზე). ამ წყვილისადმი ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც სი ძინპინი ცენტრალურ სამხედრო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უმაღლესი პოსტისკენ.

ჩინეთში პოლიტიკოსების მეუღლეებს ეჭვით ჯერ კიდევ მაო ძედუნის დროს უყურებდნენ, როდესაც მისი ცოლი, ცზიანცინი, აქტიურად იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, კერძოდ, დევნიდა მაოს მოწინააღმდეგეებს, ბოლოს კი მმართველობის ხელში აღებასაც კი შეეცადა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ის ციხეში ჩასვეს.

მიშელ ობამასა და კარლა ბრუნისგან განსხვავებით, ლიუ იუნცინი, ჩინეთის პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის, ჰუ ძინტაოს მეუღლე, პუბლიკის წინაშე მხოლოდ სახელმწიფო ხელმძღვანელების ვიზიტების დროს, მათ მეუღლეებთან შეხვედრებზე ჩნდებოდა.

თუმცა ჩინეთში მეორე აზრიც არსებობს: პენ ლიუანის პოპულარული სახე მთავრობაში პოზიტიურია, მით უფრო, რომ მისი რეპუტაცია სუფთაა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

კაშიათი ფრაიბურგი და ბაზელი დაინტერესდა

გერმანული „ტრანსფერმარკეტის“ ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და არნემის „ვიტესის“ მცველ გურამ კაშიათი გერმანული „ფრაიბურგი“ და შვეიცარიული „ბაზელი“ არიან დაინტერესებული.

ვებვერდის ცნობით, ამ გუნდების წარმომადგენლები პარიზში იყვნენ ჩასულნი, სადაც საქართველოს ნაკრები საფრანგეთს ეთამაშებოდა და კაშიას თამაშს აკვირდებოდნენ.

„ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში მე-9 ადგილზეა, ხოლო „ბაზელი“ ბოლო წლებში შვეიცარიის ნომერი 1 კლუბია.

კაშიას ამჟამინდელი გუნდი „ვიტესი“ კი ჰოლანდიის ჩემპიონატში მე-4 ადგილზეა და ლიდერ პსვ-ს 3 ქულით ჩამორჩება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

რუსთაველის თეატრში ფსიქოზია

ეკა ირემაშვილი

ხუსთაველის თეატრი ხუსეთსა და უჯრედში დაგეგმილი გასტროლების პრაქტიკულად პრემიერებისთვის ემზადება. აპრილის თვის დასაწყისი თეატრისთვის საკმაოდ გადატვირთულია. 2, 3, 4 და 5 აპრილს თეატრში საპრემიერო სპექტაკლებია. თეატრის მოყვარულთა ნარმოდგენილი იქნება ორი პრემიერა, ორმეცსაც ორი სხვადასხვა ხელისორი დგამს.

2 და 3 აპრილს პრემიერა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენაზე გაიმართება. რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე მაყურებელს შესთავაზებს სემუელ ბეკეტის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „პირველი სიყვარული“. ერთმოქმედებიანი სპექტაკლის სცენური ვერსია ნინო კანტიძესა და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძეს ეკუთვნით, მხატვრობა – დოდო ჩხეიძეს, მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძეს, ქორეოგრაფია – მარიამ ალექსიძეს, ხოლო რეჟისორის თანაშემწე გრიგოლ თათეიშვილია. სპექტაკლში მხოლოდ სამი მსახიობი მონაწილეობს ლევან ბერიკაშვილი (უასაკო კაცი), ზვიად პაპუაშვილი (ახალგაზრდა კაცი) და ქეთი ხიტარი (ქალი). სპექტაკლის დეკორაცია და კოსტიუმები დამზადებულია რუსთაველის თეატრის სახელოსნოებში

– ღვთის მიერ ბოძებული მშობლიური სახლიდან გამოძევებული ადამიანი წვალობს, შრომობს, აქეთ-იქით აწყდება. ამდენი სატანჯველისგან ცხოვრება ერთ დიდ ტკივილად ექცა, ზოგჯერ კიდეც მოსწონს წამებულის მანტია. მაგრამ მაინც გამუდმებით ეძებს უკან დასაბრუნებელ ბილიკს, თუმცა შეუძლებელია ედემის ბაღში დაბრუნდეს იგი, ვინც დაკარგა უმთავრესი – პირველი სიყვარული. „ვიცი, შენი საქმეები, შენი შრომა და შენი მოთმინება... მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პიველი სიყვარული. ამიტომ გაიხსენე, საიდან დაეცი და მოინანიე, და აკეთე შენი პირვანდელი საქმეები; თუ არა და, მალე მოვალ შენთან და გადავწევ შენს სასანთლეს თავისი ადგილიდან...“ (მოციქულ იოანეს გამოცხადება, თავი 2) – ასეთია გზავნილი რუსთაველის თეატრიდან მაყურებლისადმი.

მეორე პრემიერა რუსთაველის თეატრში უკვე დიდ სცენაზე იგეგმება. 4 და 5 აპრილს რეჟისორი კიტა როყვა წარმოადგენს ერთმოქმედებიან სპექტაკლს „ფსიქოზი 4.48“, რომელიც სარა კეინის მიხედვით იდგმება და მისი თარგმანი თამუნა ჯაფარიძეს ეკუთვნის. სპექტაკლის მხატვარია შოთა ბაგალიშვილი, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა. სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები ბრაიან ენოს, მარკუს მილერის, ჰაროლდ ბადისა და ნინა სიმონეს მუსიკალური ნაწარმოებებიდან. ეს არის მონოსპექტაკლი და მასში რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური მონაწილეობს.

– „გახსოვდეს სინათლე და ენდე სინათლეს. ჭეშმარიტება სიკვდილის წინ გამოგინათებს.“ მთავარი გმირის დეპრესიის მიზეზი გაორებაა. უიმედოდ სასოწარკვეთილია. ესაუბრება საკუთარ თავს, რომელიც ვერ „შეიცნო“. უყვარს მკურნალი ექიმი, მაგრამ ეს გრძნობაც მისი ფანტაზიის ნაყოფია. საყვედურობს ღმერთს, რომელმაც, მისი აზრით, ზურგი აქცია, ისევე, როგორც ყველა სხვამ. გამოგონილი „სიყვარულით“ ცდილობს ცხოვრებას აზრი შესძინოს და თავიდან აიცილოს თვითმკვლელობა. ეშინია, რადგან შესაძლოა, სიკვდილის შემდეგაც არ დასრულდეს მისი ტანჯვა, – ეს არის დევიზი შემოქმედებითი ჯგუფისა, რომელიც მაყურებელს პრემიერაზე მისვლისკენ მოუწოდებს.



„ფსიქოზი 4.48“ სარა კეინის უკანასკნელი და ყველაზე სკანდალური პიესაა. დრამატურგმა 28 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მისი დეპრესიის მთავარი მიზეზი „გაორება“ იყო. პიესაში ავტორის ცხოვრების რთული პერიოდებია აღწერილი. მთავარი გმირი ესაუბრება საკუთარ თავს, რომელიც ვერ იპოვა, იგი მიმართავს თავისი ფანტაზიის ნაყოფს, სატრფოს მკურნალი

გაგრძელება მე-10 გვერდზე